# საქართველო

11 II 1990 № 3 (8) ფასი 50 კაპ.



არსენ იყალთოელი

## დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნეს.
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს.
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

...ყოველთა ვედრებაჲ, ყოველთა ლიტანიობაჲ, ყოველთა ერთხმობაჲ

ვითარმედ — დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მე

ჩვენისა მრავალმცა არიან წელიწადნი!..

## საქართველოს სახელმწიფო

# დროშა და ღერბი

ამ წლინახევრის წინ დემონსტრაციებზე და მიტინგებზე დღის სინათლეზე გამოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი ხნის დატყვევებულ-დავიწყებული სიმბოლოები — დროშა და ღერბი. როგორიც არ უნდა იყოს მათი მხატვრულ-სიმბოლური თუ ჰერალდიკური ღირსება, ისინი შექმნილია ქვეყნის თავისუფლების პირობებში, როგორც შეიქმნა, ხომ შეიქმნა და ამდენად, დღესდღეობით ისინი ინარჩუნებენ ეროვნულ სიმბოლოთა ღირებულებას.

მართლაც რა პრეტენზია შეიძლება წავუყენოთ იმ დროშას, რომელიც, როგორც პოეტმა კოტე მაყაშვილმა (ეროვნული საბჭოს ხელოვნების კომისიის თავმჯდომარემ) თქვა მასზე, „უკვე მოინათლა ბრძოლის ცეცხლში, ამგვარად იქცა ისტორიადო". მაგრამ, მიუხედავად ისტორიული ნრთობისა, რომელიც მან გაიარა, ეს დროშა ვერ ჩაითვლება იმ საგნად, რომელშიც სრულყოფილად იქნებოდა გასიმბოლურებული საქართველოს სახელმწიფოებრიობა. არ ვიცი, რა აზრს სდებდნენ მისი შემქმნელნი შვინდისფერ ფონზე ალბეჭდილ შავ და თეთრ ზოლებში (წარსული შავი, მომავალი თეთრი, როგორც ჩამიგია: მაგრამ რატომ არის წარსული შავად წარმოდგენილი?) ან: სამი სკნელი, თითქოს სამყაროს სამსკნელრვანი დაყოფა რამენაირად წარმოადგენდეს ქართული ეროვნული მსოფლგანცდის სპეციფიკას.

დროშის მხატვარს შეეძლო მასში, მის ფერადებში, მხოლოდ ერთი განზომილების სიმბოლიკა ჩაედო. სახელდობრ, რა? ეს უცნობია. მაგრამ მთავარი ახლა ის არის, რომ ამ დროშაში ქართველი ხალხი დღესაც ეროვნული დამოუკიდებლობის ნიშანს ხედავს და ამას, ალბათ, ვერაფერი წაშლის. მაშინ ამ სამფეროვან, შვინდისფერ დროშას ეტოქებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) დროშა, რომელიც საერთო იყო მთელი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის, უფრო მეტიც, კომუნისტურ პარტიასაც ასეთი დროშა შერჩა დღემდე. ეს ფაქტი ახლა კვლავ გასახსენებელია. მე ის ამოვიკითხე უშანგი სიდამონიძის სტატიაში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკა", რომელიც გაზეთ „სამშობლოს" 26 მაისის ნომერში დაიბეჭდა გასულ, 1989 წელს:

„1918 წელს, 26 მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოცხადდა, ქართული ეროვნული დროშა მთავრობის სასახლეზეც (ახლა პიონერთა სასახლე) აღიმართა. მენშევიკების სახალხო გვარდიელებმა ეს დროშა ჩამოხსნეს და მის ნაცვლად თავიანთი პარტიული დროშა აღმართეს. ამას ქართული საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა".

ამ ფაქტში ძნელია არ დავინახოთ საბედისწერო სიმბოლურობა.

იმ ისტორიულ მომენტში ქართულმა დროშამ გაიმარჯვა, მაგრამ ეს ქართული დროშა სამი წლის შემდეგ დამარცხდა იმ წითელ, საერთაშორისო პროლეტარიატის დროშასთან ბრძოლაში, რომელიც საბოლოოდ მაინც აფრიალდა მთავრობის სასახლის თავზე — ესეც ისტორიული წამი იყო, ფიქსირებული იმ ცნობილ დეპეშაში.

ძნელია ეს ისტორიული მარცხი, რომელიც დროშათა მონაცვლეობაში გამოიხატა, დავაკისროთ მთლიანად მენშევიკების სახალხო გვარდიას, რომლის სამარცხვინო მოქმედება იმ სამ თავისუფლების წელიწადში ცნობილია (იხ. გენერალ გ. კვინიტაძის „ჩემი მოგონებები"). ეს უნდა მომხდარიყო და ამ მომხდარში თავისი წვლილი აქვს ამ გვარდიასაც და იმ მთავრობასაც, ვისი ერთგულიც იგი იყო. იყო თუ არა სიმბოლური და, შეიძლება ითქვას, წინასახეობრივი გვარდიელთა მოქმედება 1918 წლის 26 მაისს? ბოლომდე მიიყვანა თუ არა მტრის ხელმა 1921 წლის 25 თებერვალს მათი მცდელობა? ეჭირა თუ არა ერთი და იგივე დროშა ჯერ მოყვრის ხელს, მერე მტრის ხელს იმ მიზნით, რომ განესაზღვრა მომავალი ქვეყნის ხასიათი და მომავალი დამოუკიდებლობა (უფრო კი დამოკიდებულება)?

1918 წლის სექტემბერში, როცა უნდა გამოცხადებულიყო უკვე არსებული დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად, კოტე მაყაშვილი ამბობდა ტრიბუნიდან: „რა თქმა უნდა, ეს დროშა არის ერთგვარი კომპოზიცია, მაგრამ, რადგანაც ეს დროშა იყო გაშლილი შარშან ნოემბერში ეროვნულ ყრილობაზედ, ...ვან ამ დროშის ქვეშ გამოცხადდა საქა...ოს დამოუკიდებლობა და გარდა ამ... დროშა უკვე მოინათლა ბრძოლის ..., ამგვარად იგი იქცა ისტორიად ...ნია, ახლა ჩვენ ვალდებული ვართ, ...ით დავადასტუროთ მისი არსე-

ეს დროშა გამოტარებული იყო მაშინ ბრძოლის ქარცეცხლში, რომელშიც ახლად გათავისუფლებული ქვეყანა გაეხვია არა თავისი ნებით; მერე ის იყო დატყვევებული, განადგურებული ფიზიკურად, ისე რომ ძლივს შემორჩა ჩვენამდე მისი სხეული — ცოცხლობდა მხოლოდ სული, და კვლავ აღსდგა ჩვენს დროში. მაგრამ ჩვენს დროშიც მას არ ასცდა ქარცეცხლი. მან განიცადა დამცირებაც, ლაფში ამოსვრა ახალი მტრების ხელში არა იმ მიზეზით, რომ იგი უღირსად ეჭირა ხელში ახალ თაობას. და, მართლაც, როგორი „ერთგვარი კომპოზიციაც" არ უნდა ჰქონდეს მას, რა ბანალური შინაარსიც არ უნდა ჰქონდეს მის სიმბოლიკას, განა შეცვლის მას სხვა რომელიმე დროშა? იგი დღესაც ქარცეცხლშია, დღესაც ის განიცდის ისტორიას, დღესაც ის მოწმეა ერთგულებისა და ღალატისა, დღესაც შეესხურა მას თავდადებულთა სისხლი.

რა შეიძლება ითქვას ქართული სახელმწიფოებრიობის მეორე სიმბოლოზე — ღერბზე? თუ დროშამ თავისი შეზღუდული საშუალებებით ვერ გამოხატა მიახლოებითაც კი ქართული სახელმწიფოებრიობის არსი, ვერ შეიქმნა იმ ფოკუსად, სადაც თავი უნდა მოეყარა წარსულს, აწმყოსა და მომავალს ქვეყნისა, შეძლო თუ არა ეს დამოუკიდებელი საქართველოს ღერბმა? რაკი მას, როგორც ნახატს, უნდა შეძლებოდა მკაფიოდ, არაორაზროვნად გამოეთქვა კავკასიაში და არა მხოლოდ კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის სულიერი სახე.

თავის დროზე მხატვარმა დავით კაკაბაძემ სტატიაში „საქართველოს ღერბი" სასტიკად გააკრიტიკა ღერბი, რომელიც უკვე მიღებული იყო საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ. ის წერდა, „ამ მიღებული სახით ღერბის ცხოვრებაში გატარება ჩვენ მიგვაჩნია შეუწყნარებლადო", (ჟურნ. „შვიდი მნათობი", №1, აპრილი, 1919). კრიტიკა აღძრული იყო სტილისტური და ეროვნული პოზიციებიდან. „მიღებულ პროექტში ქართული სტილი სრულებით არ არის დაცული", წერს მხატვარი, არც ჰერალდიკური წესებიო, დასძენს. იოსებ შარლემანის მიერ შექმნილი „გიორგის სახე შესრულებულია რუსული საეკლესიო-სახატო რიგის მიხედვით", კერძოდ მას მიაჩნია, რომ აქ გამოყენებულია მოსკოვურ-ნოვგოროდული რიგი (XV-XVI ს.ს.).

მხატვარი იმედს გამოთქვამდა, რომ „მიღებული ღერბის ნახატი" ცხოვრებაში არ გატარდებოდა, ამას „თვით მთავრობა მალე დაინახავსო". რა დაინახა მთავრობამ სულ მოკლე ხანში, ჩვენ ვიცით, მაგრამ ღერბი, ცხადია, დარჩა ღერბად და დღემდე ქართველობა მასში დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოს ხედავს. რას ვხედავთ სინამდვილეში ამ ღერბზე? თუმცა ჯერ ის გავიხსენოთ, თუ რას ხედავს ამ ღერბზე დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია: „საქართველოს ღერბი არის ძლევამოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე". ასე ხედავდნენ კონსტიტუციის ავტორები (ჯერ მთავრობა და პარლამენტი, ცხადია) ღერბის ნახატს. მართლაც ასეა? ძლევამოსილი გიორგია მასზე გამოსახული?

ვის უნახავს ძლევამოსილი კაპადოკიელი მხედარი გარეშე ნიმბისა და გარეშე გველეშაპისა, რომელსაც ის უნდა გმირავდეს?

ღერბზე ვერ ხვდავთ ვერც ნიმბს, წმიდანობის ნიშანს, მხედრის თავზე და ვერც გველეშაპს, განგმირულს, ნიშანს მისი უპირველესი ღვაწლისა. მას შერჩა მხოლოდ თეთრი ცხენი.

ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს სოციალ-დემოკრატიას, „ეროვნულ" განშტოებას საერთაშორისო და, უფრო მეტად, რუსული სოციალ-დემოკრატიისას, წმიდა გიორგის დანახვაც და გაგონებაც არ სურდა, მით უმეტეს, რომ იგი საქართველოს ეროვნულ მფარველ წმიდანად იყო შერაცხილი.

ასეთი განწყობილება, ცხადია, იყო შედეგი ჯერ სარწმუნოებრივი, მერე ეროვნული, ან ერთდროულად ორივე—ნიჰილიზმისა.

სოციალ-დე..., ქართველი მენშევიკობა, რომელიც უმრავლესობა იყო მთავრობაში და ეჭირა წამყვანი პოსტები დაწყებული პრემიერ-მინისტრიდახ და ა. შ., არ დაუშვებდა, რომ დემოკრატიული საქართველოს ღერბზე ქრისტიანული წმიდანი ყოფილიყო გამოხატული (უხერხული იქნებოდა მარქსის წინაშე). ეს პარტია და მისი იდეოლოგიის თანამგრძნობელნი წინააღმდეგი იყვნენ იმ კომპრომისული წინადადებისაც კი, რომელიც თუმცა ეროვნული სულით გამსჭვალულმა, მაგრამ რელიგიურად ნიჰილისტურმა სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებმა შესთავაზეს მთავრობას, უფრო სწორად, სამთავრობო ხელოვნების კომისიას". მათი წინადადებით ღერბზე უნდა გამოსახულიყო „საქართველოს სპეტაკი რაინდი თეთრი გიორგი".

ასეთი „რაინდი", თეთრი გიორგის სახელის მატარებელი, არ არსებულა საქართველოში; ეს წმიდა კაბინეტური გამონაგონია, რაინდის ტიტულოსანი „თეთრი გიორგი" უზურპირებულია კაპადოკიელი წმიდანის, წმიდა გიორგის, ადგილობრივი, კერძო სახისაგან, რომელიც მას აქვს კახეთში, ანჩურში, სადაც წმიდა გიორგის ამ სახელით იხსენებს მლოცველი —ადგილობრივი მრევლი და მრავალრიცხოვანი პილიგრიმობა, რომელიც მოემართება აქეთ მთელი კახეთიდან და, შესაძლოა, მთელი აღმოსავლეთ საქართველოდან. „თეთრი გიორგი", ცხადია, იგივე წმიდა გიორგია, მისი ხალხური სახელწოდება და არავითარ შემთხვევაში წარმართული საქართველოს „რაინდი".

პარადოქსი, გნებავთ, ბედის ირონია იმაშია, რომ ამ მეცნიერულმა უზურპაციამ, რაც გამოიხატა თეთრი გიორგის მითვისებით მეცნიერული წარმართობის მიერ, ვერ შეიყვანა შეცდომაში მთავრობის სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა. მათმა ათეისტურმა ალღომ გამოიცნო იგივეობა წმიდა გიორგისა და თეთრი გიორგის შორის. აი, რას წერს უშანგი სიდამონიძე ზემოთ ნახსენებ წერილში: „სოციალ-დემოკრატებისათვის მიუღებელი იყო თეთრი გიორგი. ისინი თეთრ გიორგის ქრისტიანობის სიმბოლოდ თვლიდნენ. ხელოვნების კომისიამ დაასაბუთა, რომ თეთრი გიორგი ქართველი ხალხის ქრისტიანობამდელი ღვთაება იყო. თეთრი გიორგი წმიდა გიორგისაგან იმითაც განსხვავდება, რომ წმიდა გიორგის თავზე შარავანდედი ადგას".

აქედან ჩანს, რომ არც სოციალ-დემოკრატიას და არც ეროვნულ სამეცნიერო წრეებს არ სურდათ ქრისტიანული საქართველო. ამ საკითხში ისინი სოლიდარულნი იყვნენ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ სოციალ-დემოკრატია უფრო რეალურ ნიადაგზე იდგა და, შეიძლება ითქვას, უფრო თანმიმდევრული იყო თავისი ათეისტური პოზიციებიდან გამომდინარე, ვიდრე მეცნიერება, რომელსაც მოუხდა ხელოვნური თეორიის მოხმობა მათ დასარწმუნებლად. ეს თეორია — რომელიც გულისხმობს ქრისტიანული წმიდანების წარმართულ „დუბლიკატთა" არსებობას საქართველოში, დღემდე ძალაშია მიუხედავად მისი სრული უსაფუძვლობისა და აშკარა ხელოვნურობისა. მისი მიმდევრობა დამყარებულია ყალბად გაგებულ ეროვნულობაზე; თითქოს ქრისტიანობა, როგორც უცხო, გარედან შემოსული რელიგიური იდეოლოგია, გადახვევა იყო ქართული ეროვნული კულტურის მაგისტრალური ხაზიდან და რომ საჭიროა ქრისტიანობამდელი ფესვების დაძებნა და ქრისტიანობაშეუხებელი კულტურული ფენომენების გამომზეურება,* ე. წ. რენესანსი. ერთ-ერთი ასეთი ფენომენი „თეთრი გიორგი" აღმოჩნდა, რომელიც ხელოვნურად იქნა მოწყვეტილი წმიდა გიორგის, ცოცხალს, ცოცხალი რწმენის ობიექტს, რომელსაც აქვს თავისი წმიდა ცხოვრება — აგიოგრაფია.

ხოლო რა ცხოვრება აქვს „წარმართულ" „თეთრ გიორგის"? სად არის მისი ღვაწლი? სად არის მისი ძლევა? არსად. მხოლოდ მარცხი.

წმიდა გიორგის ბედი დამოუკიდებელი საქართველოს ღერბში მინიატურულად იმეორებს ქრისტიანობის ბედს მეოცე საუკუნის საქართველოში; ამდენად არსებული ღერბის საკითხი არ არის მხოლოდ ჰერალდიკური საკითხი. ღერბში დარღვეულია არა მხოლოდ ჰერალდიკური ტრადიციული კანონი, არამედ რელიგიურიც. იმგვარი გაგება „თეთრი გიორგისა", როგორც ეს მაშინ ხელოვნების კომისიამ „დაასაბუთა", არის ერთ-ერთი გამოვლენა პროფანაციისა, რაც მდგომარეობს საკრალური სფეროდან სიწმიდეთა გადანაცვლებისა საერო სფეროში, ანუ მისი ღირსების ჩამოქვეითება აბსოლუტური რეალობიდან ყოფით სინამდვილემდე. პროფანაცია ნიშანდობლივია ქრისტიანული კულტურის არა ტოტალურად უარმყოფელთათვის, როგორებიც იყვნენ სოციალ-დემოკრატი პარტიელები, არამედ სწორედ ეროვნულ ნიადაგზე მდგარ მოღვაწეთათვის, რომელთა თვალში ქრისტიანობა, როგორც ისტორიული მოვლენა, ქართული კულტურის ერთ-ერთი მოდუსია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული ღირებულებაღა შერჩენია და, ამის საფუძველზე, დასაშვებად იქნა მიჩნეული მისი სიმბოლოების გამოყენება საერო, თუნდაც ისეთ ამაღლებულ სფეროში, როგორიც არის ეროვნულობა.

„თეთრი გიორგის" ემანსიპაცია, ანუ მისი მოწყვეტა ეკლესიის წიაღიდან, ერთი კერძო გამოვლენაა ქრისტიანულ რეალიებზე საერთო თვალსაზრისისა, რაც კარგად არის გამოხატული დ. კაკაბაძის ნათქვამში, სადაც ის იძლევა საქართველოს ღერბის საკუთარ კონცეფციას: „თეთრი გიორგის ფორმას უფრო შეეხამება საერო მხატვრული სტილი, ვიდრე საეკლესიო".

ამ ნათქვამში იგულისხმება, რომ „თეთრი გიორგი" ეკუთვნის საერო კულტურას და ამიტომაც მისი სახე-ფიგურა, მხატვრის აზრით, საერო მხატვრობის კანონებით უნდა შესრულებულიყო. მაგრამ რამდენად მართებულია ეს საყვედური ღერბის ავტორის მიმართ? მის ნახატში ხომ არც ერთი ძირეული ატრიბუტი საეკლესიო წმიდა გიორგისა არ არის წარმოდგენილი? წმიდანი ხომ გაძარცულია იმ ნიშნებისგან, რომლებიც შეადგენს მის არსს?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ღერბი მხედრის გამოსახულებით საბედისწერო გაუგებრობაა, რომელიც არ უნდა მომხდარიყო ძველი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაში; მისი ისტორიის გადამწყვეტ მომენტში ეს იყო მარცხი ქართველი ინტელიგენციის ცნობიერებაში, რომელიც კარგა ხნით ადრე იყო დაავადებული ურწმუნოებით და, რაც უფრო უარესია, რელიგიური ნიჰილიზმით, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი განწყობილება ჰბადებს პროფანაციას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. რადგან სწორედ ეს და არა ულმერთოთა მოძრაობა ამღვრევს და ამინებს რელიგიურ ატმოსფეროს, ვიდრე აგრესია და დევნა, რომელიც უფრო აძლიერებს რელიგიურ შურსა და წყურვილს. ამას მოწმობს ქრისტიანობის მთელი ისტორია.

სასოებით და იმედით შევყურებთ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ღერბს და ვერც კი ვამჩნევთ, რომ მასზე გამოსახულია არა ძლევამოსილი, მთავარმოწამე წმიდა გიორგი, საქართველოს, ქართველი ერის მფარველი, რომელიც დიდგორის ველზე ქართველობასთან ერთად იბრძოდა ქრისტიანობის გადასარჩენად ამ მიწაზე, არამედ მისი პროფანირებული, დეფექტური სახე.

ამ ღერბის თანამდევი მაშინ არ იყო გამარჯვება...

**ზურაბ კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატები ქალაქ თბილისში

## ლენინის რაიონი

საარჩევნო ოლქი №

№1. ზაზა თენგიზის ძე ნამორაძე — ქართველი, დაბ. 1968 წ., თსუ იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, უპარტიო.

№2. ჰენრი ოთარის ძე კუპრაშვილი — ქართველი, დაბ. 1946 წ., ისტორიკოსი, სსფ-ს საალრიცხვო განყოფილების გამგე, უპარტიო.

№3. ლერი პავლეს ძე გოშაძე — ქართველი, დაბ. 1935 წ., არქიტექტორი, საოპერო მომღერალი, მთავარი არქიტექტორი, „საქქალაქმშენსახპროექტი", უპარტიო.

№4. ზურაბ რობერტის ძე მაისურაძე — ქართველი, დაბ. 1965 წ., სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი სამკურნალო ფაკულტეტი, მე-5 კურსი, უპარტიო.

№5. ვლადიმერ გიორგის ძე პაპავა — ქართველი, დაბ. 1955 წ., ეკონომისტ-მათემატიკოსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, სკკპ წევრი.

№6. მერაბ ალექსანდრეს ძე ალექსიძე — ქართველი, დაბ. 1930 წ., ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, უპარტიო.

№7. ვიკი ჩიტოს ძე თაქთაქიშვილი — ქართველი, დაბ. 1952 წ., ეკონომისტი, განყოფილების გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქ. სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სკკპ.

№8. რამაზ მიხეილის ძე შენგელია — ქართველი, დაბ. 1952 წ., ექიმი, უფროსი მეცნიერ მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტი, უპარტიო.

№9. გიორგი ნიკოლოზის ძე ლაპიაშვილი — ქართველი, დაბ. 1952 წ., ფიზიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, თსუ ფიზიკის ფაკულტეტის მაკრომოლეკულების კათედრა, უპარტიო.

№10. ავთანდილ მამიას ძე ხაჟომია — ქართველი, დაბ. 1961 წ., ფიზიკოსი. უპარტიო.

## პირველი მაისის რაიონი

№11. გიორგი გივის ძე მარჯანიშვილი — ქართველი, დაბ. 1955 წ., ხელოვნებათმცოდნე, ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახ. მუზეუმი, სწავლული მდივანი, უპარტიო.

№12. რომან რაჟდენის ძე გოცირიძე — ქართველი, დაბ. 1955 წ., ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, უპარტიო.

№13. ემირ პავლეს ძე ჯუღელი — ქართველი, დაბ. 1938 წ., ფიზიკოს-კიბერნეტიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრის მასწავლებელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სკკპ.

№14. ზურაბ გიორგის ძე კიკნაძე — ქართველი, დაბ. 1933 წ., აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უპარტიო.

№15. შოთა ალექსანდრეს ძე ნადირაშვილი — ქართველი, დაბ. 1926 წ., ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სკკპ.

№16. ბაიოზ მამიას ძე მამალაძე — ქართველი, დაბ. 1964 წ. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, უპარტიო.

## ოქტომბრის რაიონი

№17 ვასილ კოკის ძე გოცირიძე — ქართველი, დაბ. 1958 წ., ისტორიკოსი, აკად. გ. ჩიტაიას სახ. საქ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახ. მუზეუმის თანამშრომელი, ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, უპარტიო.

№18 ოთარ კალენიკეს ძე ბამურელიძე — ქართველი, დაბ. 1932 წ., იურისტი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიისა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

№19 პეტრე ჯიმშერის ძე ბავაშელი — ქართველი, დაბ. 1961 წ., რადიო-ფიზიკოსი, საქ. სსრ მთავარი საარქივო სამმართველო, განყოფილების გამგე, უპარტიო.

№20 დავით ლევანის ძე ხულაქველიძე — ქართველი, დაბ. 1952 წ., მათემატიკოსი, მათემატიკის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

## კალინინის რაიონი

№ 21 გურამ გიორგის ძე ხირტლაძე — ქართველი, დაბ. 1941 წ., ექიმი, თბილისის №1 ტუბ. სან. დისპანსერი, მთავარი ექიმი, უპარტიო.

№22 ვალერიან ხერგის ძე ადვაძე — ქართველი, დაბ. 1930 წ., ეკონომისტი, საქ. სსრ სახ. საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, სკკპ.

№23 ნოდარ რევაზის ძე ნათაძე — ქართველი, დაბ. 1929 წ., ფილოლოგი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, სექტორის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, უპარტიო, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე.

## ორჯონიკიძის რაიონი

№24 თინათინ გიორგის ასული მახაშვილი, — ქართველი, დაბ. 1960 წ., იურისტი, ტრამვატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, იურისკონსულტი, უპარტიო.

№25 გურამ ვალერიანის ძე რამიშვილი — ქართველი, დაბ. 1932 წ., ფილოლოგი, თსუ, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ.

№26 თეიმურაზ ხერგოს ძე ლეჟავა — ქართველი, დაბ. 1950 წ., ისტორიკოსი, საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრობის და ყოფის სახ. მუზეუმი, დირექტორი, უპარტიო.

№27 შოთა ალექსანდრეს ძე ადამია — ქართველი, დაბ. 1929 წ., გეოლოგი, გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, სკკპ.

№28 ზაზა ნიკოლოზის ძე ალექსიძე — ქართველი, დაბ. 1935 წ. ისტორიკოსი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, უპარტიო.

№29 ივანე შალვას ძე ყვავილაშვილი — ქართველი, დაბ. 1938 წ., ბიოფიზიკოსი, ლაბორატორიის გამგე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტი, უპარტიო.

№30 თენგიზ ალექსანდრეს ძე კიკაჩეიშვილი — ქართველი, დაბ. 1940 წ., ფილოლოგი, თსუ კათედრის გამგე, პროფესორი, უპარტიო.

## კიროვის რაიონი

№31 დავით დავითის ძე თევზაძე — ქართველი, დაბ. 1949 წ., ფილოსოფოსი, ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, უპარტიო.

№32 ვასილ თეიმურაზის ძე მაღლაფერიძე — ქართველი, დაბ. 1958 წ. ფილოლოგი, მასწავლებელი, თბილისის ქართული გიმნაზია, უპარტიო.

№33 გუქა ანდრიას ძე აფაქიძე — ქართველი, დაბ. 1948 წ., ისტორიკოსი, მეცნიერ-მუშაკი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთოგრაფიის ინსტიტუტი, უპარტიო.

## 26 კომისრის რაიონი

№34 ირაკლი შალვას ძე ჩიქავაიძე — ქართველი, დაბ. 1947 წ., იურისტი, საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაცია, ადვოკატი, უპარტიო.

№35 თეიმურაზ კლიმენტის ძე იოსელიანი — ქართველი. დაბ. 1929 წ., ბიოლოგი, თსუ ფიზიოლოგიის კათედრა, კათედრის გამგე, უპარტიო.

№36 კობა გიორგის ძე კიკაბიძე — ქართველი, დაბ. 1954 წ., ბიოლოგი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხრფპ. (საქართველოს რადიკალურ-ფედერალური პარტია).

№37 დავით გიორგის ძე მარლანია — ქართველი, დაბ. 1960 წ., გეოგრაფიის ინსტიტუტი, ხფრპ.

№38 ნოდარ არჩილის ძე ლომინაძე — ქართველი, დაბ. 1946 წ., ინჟინერი, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება, უფროსის მოადგილე ავტომატიზაციის დარგში, სკკპ.

№39 რევაზ კლიმენტის ძე ხუნწარია — ქართველი, დაბ. 1926 წ., ინჟინერი, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის თბომომარაგებისა და ვენტილაციის კათედრა, პროფესორი, უპარტიო.

№40 ჯანსუღ ავდიდის ძე ჩარკვიანი — ქართველი, დაბ. 1931 წ., პოეტი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", დირექტორი, სკკპ.

№41 გიორგი გურამის ძე ქარქაძე — ქართველი, დაბ. 1962 წ., ინჟინერ-ქიმიკოსი, თბილისის სინთეთიკურ ნაკეთობათა ფაბრიკა, ხრფპ.

№42 თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძე — ქართველი, დაბ. 1930 წ., იურისტი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი, დირექტორი, სკკპ.

№43 ოლეგ მიხეილის ძე ნამიჩეიშვილი — ქართველი, დაბ. 1942 წ., ფიზიკოსი, თსუ რადიოელექტრონიკის კათედრა, კათედრის გამგე, დოცენტი, სკკპ.

№44 ვლადიმერ ივანეს ძე ბუგუშვილი — ქართველი, დაბ. 1934 წ., საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტი, დირექტორის მოადგილე, უპარტიო.

## საქარხნო რაიონი

№45 მერიხონ ალექსანდრეს ძე ქოგულია — ქართველი, დაბ. 1941 წ., ისტორიკოსი, თბილისის 107-ე საშ. სკოლა, ისტორიის მასწავლებელი, უპარტიო.

№46 ლაშა ზურაბის ძე ტუღუში —ქართველი, დაბ. 1964 წ., ინჟინერი, რ/გ „საქაგრომშენის" კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო ტექნიკური სამმართველო, უპარტიო.

№47 ბორის არჩილის ძე ლომსაძე — ქართველი, დაბ. 1934 წ., ფიზიკოსი, თსუ ბიოფიზიკის კათედრა, კათედრის გამგე, სკკპ.

№48 ემილ დავითის ძე კობახიძე — ქართველი, დაბ. 1935 წ., ეკონომისტ-გეოგრაფი, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების გამგე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, სკკპ.

№49 შოთა მირიანის ძე მირიანაშვილი — ქართველი, დაბ. 1932 წ., ფიზიკოსი, ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი პრობლემური ლაბორატორია, ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

№50 ნუგზარ სარდიონის ძე თათარაშვილი — ქართველი, დაბ. 1948 წ., მეტყევე ინჟინერი, ქორეოგრაფი, თბილისის საწარმოო საავეჯო გაერთიანება „განთიადი", დირექტორი, უპარტიო.

№51 თემურ ტარიელის ძე ბასილია — ქართველი, დაბ. 1957 წ., ეკონომისტი, თბილისის საავეჯო-საწარმოო გაერთიანება „განთიადი", შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი, უპარტიო.

№52 ველა რევაზის ძე ბახუაშვილი — ქართველი, დაბ. 1952 წ., ინჟინერი, საავიაციო ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, ინჟინერ-ტექნოლოგი, უპარტიო.

## გლდანის რაიონი

№54 გერმანე გერმანეს ძე ფაცაცია — ქართველი, დაბ. 1951 წ., ფილოსოფოსი, საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების სექტორის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ.

№55 ლანა ლევანის ასული ღოღობერიძე — ქართველი, დაბ. 1928 წ., რეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმი", სკკპ.

№56 მიხეილ ალექსანდრეს ძე ნანეიშვილი — ქართველი, დაბ. 1934 წ., ფილოსოფოსი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, უპარტიო.

№57 პაატა როინის ძე ლელაშვილი — ქართველი, დაბ. 1960 წ., მეტალურგი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი, წამყვანი ინჟინერი, ხრფპ.

№58 გიორგი ვალერიანის ძე წილოსანი — ქართველი, დაბ. 1952 წ., ექიმი, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

№59 ვაჟა ვარდენის ძე გუჯაბიძე — ქართველი, დაბ. 1939 წ., გეოლოგი, თსუ სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სკკპ.

№60 სოლომონ გიორგის ძე ხუციშვილი — ქართველი, დაბ. 1908 წ., ფილოლოგი, თსუ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, კათედრის გამგე, პროფესორი, უპარტიო.

№61 პაატა პეტრეს ძე კოლუაშვილი — ქართველი, დაბ. 1956 წ., ეკონომისტი, საქ. სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის მთავარი სამმართველო, მთავარი ეკონომისტი, უპარტიო.

## საბურთალოს რაიონი

№62 ივანე მიხეილის ძე თვალავაძე — ქართველი, დაბ. 1941 წ., მეტალურგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სკკპ.

№64 დემურ პიერის ძე გურჯულაძე — ქართველი, დაბ. 1946 წ., ინჟინერი, საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის მიწათმოწყობის რესპუბლიკური საპროექტო ინსტიტუტი, „საქსახმიწპროექტი", პროექტის მთავარი ინჟინერი, უპარტიო.

№65 თენგიზ ალექსანდრეს ძე ლილუაშვილი — ქართველი, დაბ. 1928 წ., იურისტი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი, სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგე, სკკპ.

№66 რევაზ ლეონიდეს ძე შავიშვილი — ქართველი, დაბ. 1955 წ., ფიზიკოსი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

№67 გიორგი ავთანდილის ძე ლაპუებიანი — ქართველი, დაბ. 1954 წ., ექიმი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სანჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ნერვულ სნეულებათა კათედრა, ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

№68 თამაზ ანდრიას ძე შილაკაძე — ქართველი, დაბ. 1932 წ., საქართველოს სახელმწიფო გზათა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქგზამეცნიერება", გენერალური დირექტორი, სკკპ.

№69 თემურ შალვას ძე ფიფია — ქართველი, დაბ. 1952 წ. ფილოსოფოსი, თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

# მართლაც „სად არის ქართული მწერლობა“
## ანუ ღია წერილი ვახტანგ ხარჩილავას

**ბატონო** ვახტანგ! „ლიტერატურულ საქართველოში“ თქვენი წერილის სათაური რომ ვნახე, გულწრფელად გამიხარდა. ჩვენ თითქმის ერთად მოვდივართ სტუდენტობიდან და პირველი ლიტერატურული ნაბიჯებიდან დღემდე დაინტერესებული ვადევნებ თვალს თქვენს შემოქმედებას. გამოგიტყდებით, მეამაყებოდა კიდევაც, ჩემი კუთხის კაცი, სულ მოკლე ხანში თვითმყოფად პოეტად ჩამოყალიბდით. პუბლიცისტურმა წერილებმაც საინტერესო შტრიხები შემატეს თქვენს პიროვნებას. ყოველივე ამის შემდეგ სტატიის — „სად არის ქართული მწერლობა“ — ქვეშ თქვენი გვარის მხილველი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ ამოვიკითხავდი ეროვნულ მოძრაობაში თანამედროვე ქართული მწერლობის როლის პირუთვნელ შეფასებას. სამწუხაროდ, იმედი გამიცრუვდა. საქართველოში მიმდინარე ეროვნული პროცესების ღრმა ანალიზის ნაცვლად ვიხილე მხოლოდ განაწყენებული, გაბუტული და მატარებელს ჩამორჩენილი კაცის ბუზღუნი. ბოლოს და ბოლოს ხელს ჩავიქნევდი და ვიტყოდი, რომ ნაწყენი კაცისგან არ უნდა მოელოდე მოვლენების ობიექტურ შეფასებას. მაგრამ თქვენს წერილში არის აზრები, ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის პოზიციის გამომხატველი, რომელიც დღეს უკვე პრაქტიკულადაც ხორციელდება. ვინაიდან ვთვლი, რომ ეს პოზიცია არის პრინციპულად მიუღებელი, მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო გწერთ ამ წერილს.

თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ მე ერთი რიგითი მეცნიერ-მუშაკი ვარ და არასოდეს მიტინგებზე არ მიყვირია, სად არის ქართული მწერლობა-მეთქი? ამის უფლებას არ მაძლევს არა მხოლოდ ჩემი დიდი სიყვარული ქართული მწერლობის მიმართ, არამედ ის, რომ არა ვარ დარწმუნებული, საჭიროა კი მოვთხოვოთ დღეს ჩვენს მწერლობას ავანგარდში დგომა.

მე აბსოლუტურად ვეთანხმები თქვენი წერილის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკობთ ქართული მწერლობის როლზე ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. იქნებ თქვენდა გასაკვირად მეტიც მეთქვა: დღესაც ქართველებს რამდენიმე, თუ მსოფლიო არა, ევროპული მასშტაბის მწერალი გვყავს, მხატვრული ღირსებით თანამედროვე ქართული პოეზიის და პროზის საერთო დონე არ ჩამოუვარდება წინა პერიოდების ქართული მწერლობისას. მაგრამ ერთია ქართული მწერლობის თანამედროვე დონე და მეორე — მისი ფუნქცია დღეს ერის ცხოვრებაში. ძალიან დიდი განსხვავებაა თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ქართული მწერლობის როლს და იმ როლს შორის, რომელსაც იგი ასრულებდა თუნდაც 20 წლის წინათ.

ისტორიულად ისე მოხდა (შესაძლოა კულტურის სხვა დარგების განუვითარებლობის გამო), რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობის მედროშე დიდი ხნის მანძილზე მწერლობა იყო. ამ ტრადიციას დიდმა ილიამ ჩაუყარა საფუძველი და თითქმის ასი წლის მანძილზე ქართველ მწერლებს მოწინავე დროშა ხელიდან არ გაუშვიათ, სწორია ისიც, რომ მათ ეს ფუნქცია პირნათლად შეასრულეს, რასაც ჩვენი დღევანდელი ეროვნული მოძრაობა ადასტურებს. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი სამყაროს კანონზომიერებებს ექვემდებარება. ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. მეწინავეს როლში ყოფნა ძალზე ძნელია და გარდაუვლად დგება მომენტი, როცა სულიერი ძალები იშრიტება; თუ ერი არაა სასიკვდილოდ განწირული, აღმოჩნდება ძალები, რომლებიც ახალი გზებით და საშუალებებით გააგრძელებენ საქმეს. (აქ ძალაუნებურად გახსენდება კაცს ჰეგელის აზრი ობიექტური გონის ეშმაკობის შესახებ). ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულ საზოგადოებაში მოინახა ასეთი ძალა. თუ ცოტა ღრმად ჩავიხედავთ ბოლო მეოთხედი საუკუნის საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში, შეიძლება დავაფიქსიროთ კიდეც, როდის და როგორ მოხდა ეროვნული მოძრაობის ალმის გადაცემა ხელიდან ხელში. 1975 წლიდან 1985 წლამდე ათწლეულში ეროვნული თვითცნობიერების წამყვან ძალად თეატრისა და კინოს წარმომადგენლები მოგვევლინენ. მათ ნაწარმოებებში აისახა ეროვნული ცნობიერების მთავარი ძარღვის ფეთქვა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბატონი აკაკი ბაქრაძეც მათი წრიდან შემოვიდა ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ პერიოდში იგი უთუოდ იყო ეროვნული მოძრაობის მებაირახტრე, ახალი ეროვნული ცნობიერების დამთესველი და ერის განმანათლებელი. გაგახსენებთ თუნდაც მის ადრინდელ ლექციებს უნივერსიტეტში, რომლებსაც, თუ არ ვცდები, ორივენი ყოველთვის ვესწრებოდით.

1985 წლიდან უკვე სულ სხვა ძალები მოვიდნენ ეროვნულ მოძრაობაში. განმანათლებლობის ეპოქა დამთავრდა. დაიწყო უშუალო პოლიტიკური ბრძოლა იმ იდეალების განსახორციელებლად, რომელიც შეიმუშავა და ყველაზე დიდხანს სწორედ ქართულმა მწერლობამ ატარა. ამ ეტაპზე ღირებულება შეიძინა იმ თვისებებმა, რაც პოლიტიკურ მებრძოლს სჭირდება. აქ უკომპრომისობაა უმთავრესი ნიშანი და ეროვნული მოძრაობის სათავეში სწორედ ისინი მოექცნენ, ვინც მაშინ, როცა ჩვენ ყველანი მშობლიური კერიის წინ ვნებივრობდით, ბოროტების იმპერიის ჯურღმულებში იტანჯებოდნენ. ამ მხრივ ბატონ ზვიად გამსახურდიას და სულკურთხეულ მერაბ კოსტავას ყველაზე მეტად ჰქონდათ მორალური უფლება სათავეში ჩადგომოდნენ ეროვნულ მოძრაობას და ქართველმა ერმაც სავსებით სამართლიანად აღიარა ისინი თავის უპირველეს წინამძღოლებად.

ამდენად, ბატონო ვახტანგ (ვწუხვარ, ძალზე მარტივი ჭეშმარიტების ახსნა რომ მიხდება), დღეს საქართველოში ყველაფერს პოლიტიკის სუნი უდის, ყველაფერი პოლიტიკურ ელფერს ატარებს: მწერლობაც, ხელოვნებაც, მეცნიერებაც, მუშაკაცობაც და გლეხობაც. აქ ყველა თანასწორი ვართ. ასეთია დღეს ქართული გონის მოთხოვნა. რასაკვირველია, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, როგორც თქვენ წერთ, მწერლებიც ეხმაურებიან საერთო-ეროვნულ პრობლემებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ უმეტეს მათგანს პოლიტიკური დვრიტა აკლია. ამ ნაწერებში არ ჩანს პოლიტიკოსი მწერალი, რომელსაც დღეს ეპოქა ითხოვს. ხოლო მცირე ნაწილს, რომელიც ცდილობს პოლიტიკურ პოზიციაზე დგომას, სამწუხაროდ არასწორი პოლიტიკური გზა აქვს აღებული (გამონაკლისები მასშიც არიან). როგორია ეს პოზიცია და რაა მისი მცდარობის მიზეზი, ამაზე ცოტა ქვემოთ. აქ კი დავამთავროთ ეს აზრი: შეძახილში — „სად არის ქართული მწერლობა“ — არაფერია საგანგაშო და ზარების დასარისხებელი. ესაა ნოსტალგია იმ დროზე, როცა ქართული მწერლობა ერის წინამძღოლად გვევლინებოდა. ამდენად, აქ დრამატიზირების არავითარი საფუძველი არ გვაქვს და არაა საჭირო ისტერიული კივილი, თითქოს ვინმე ქართველ მწერლებს ექსორიას უპირებდეს. ნუ მივაწერთ ქართველ კაცს იმას, რაც არასოდეს არ ყოფილა მის ბუნებაში.

წერილის მეორე ნაწილში თქვენ უკვე გარკვეული პოლიტიკური პოზიციიდან მსჯელობთ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სწორედ ეს პოზიცია იწვევს ჩემს განსაკუთრებულ აღშფოთებას და ამით იქნება გამოწვეული ჩემი შემდგომი მსჯელობის ზედმეტად მკვახე ტონი.

ბატონო ვახტანგ! უკანასკნელ პერიოდში ინტელიგენციის ზოგიერთ წრესა და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ მიმდინარეობაში აშკარად გამოიხატა ქართველი ხალხისადმი ზემოდან ცქერის პოზიცია. ამ პოზიციამ თქვენს წერილში აპოგეას მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ ის, რაც სხვასთან დემაგოგიურ სამოსელშია გახვეული.

რას ნიშნავს, ბატონო ვახტანგ, ეს „მასა“, ეს „უმრავლესობა“, რომლის წინაშე ასე გიჭირთ თქვენი ძვირფასი, განსხვავებული აზრის გამოთქმა? ვინ ხართ თქვენ, ხალხისგან გამორჩეული, რომ ყველა ცდება და მარტო თქვენ იცით „რაი არს ჭეშმარიტება“? მეტი ემოციური ზემოქმედებისათვის მარჯვედ სარგებლობთ „ბოლშინსტვოთი“. თქვენ და თქვენისთანებმა უკვე დაამკვიდრეთ „ნეობოლშევიზმი“ ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში. ასეთ მცდელობას უკვე გაეცა საკადრისი პასუხი (იხ. გაზეთი „საქართველო“ № 2, № 4). მაგრამ, ეტყობა, თქვენ მაინც არ შეისმინეთ იგი. არ ვიცი, თქვენ როგორ გაქვთ პარტბილეთის საქმე, მაგრამ ამჟამად ეს არაა მთავარი. მთავარი ის არის, რომ არავის, ვინც არ უნდა იყოს იგი და როგორი დამსახურებაც არ უნდა მიუძღოდეს მას ერის წინაშე, არა აქვს მორალური უფლება, ეროვნული თავისუფლების იდეით აღტკინებულ ხალხს ბრბო უწოდოს. აქ თავად იდეის კეთილშობილებაა იმის გარანტია, რომ ხალხის მოქმედება ბრბოს მოქმედებას არ გაუტოლდება. რასაკვირველია, მიტინგზე მდგარ ხალხში არის გაუნათლებელიც, ბრიყვიც, ტლუც, პროვოკატორიც, მაგრამ იქ მათი აზრი არაა გადამწყვეტი. გადამწყვეტია მხოლოდ ხალხი, რომელიც ღვთისგან ჩადებული უტყუარი ალღოთი გრძნობს იმას, თუ სადაა სიმართლე და სადაა სიმრუდე. ძალიან გთხოვთ, ნუ გააიგივებთ ხალხს იმ „აგრესიულად მორჩილ უმრავლესობასთან“, რომლებიც სპეციალურად არიან ნაძირალებისაგან შერჩეული.

თუ თქვენ, ბატონო ვახტანგ, მართლა ფიქრობთ, რომ მიტინგზე მდგარი ადამიანების უმრავლესობა არის ის, ვისაც ჭეშმარიტებას ვერ გააგებინებ, მაშინ თუ ლოგიკურნი ვიქნებით, ბრბოს ხუშტურებს შეწირვიან 9 აპრილის გმირები და მართალი ყოფილან სამხედროები, რომლებიც ამას ყრილობაზე საჯაროდ გვიმტკიცებენ. ბრბოს აღვირახსნილობა ყოფილა მხოლოდ სამეგრელოდან 100-ათასიანი სახალხო ლაშქრის დაძვრა აფხაზეთისაკენ თანამოძმეთა დასახმარებლად, უაზრო ყოფილა მათი დედების მიერ გზის გასწვრივ ღობეებზე იმედად დანთებული სანთლები.

თუ თქვენს ლოგიკას ბოლომდე გავყვებით, უაზრო გამოდის ყოველგვარი ეროვნული მოძრაობაც, რადგან იგი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა მას ხალხი უჭერს მხარს და რომელიც ხალხის ინტერესებს გამოხატავს. მნიშვნელოვანი კი ყოფილა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის ინტერესი, რომელიც დღეს იბრძვის მომავალ საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის, რისთვისაც უკვე დღესვე აგროვებს საიმედო ხალხს. გათვლა სავსებით ზუსტია, რადგან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დღეს ხალხის განწყობას გამოხატავენ, ხვალინდელ საქართველოსთვის ბრძოლაში აუცილებელ დანაკარგებს განიცდიან.

თქვენ სავსებით იზიარებთ სიტყვებს „ჩვენ ბრბოს ვაქცევთ ხალხად“ (როგორ მაგონებს ეს სიტყვები სოლოვკების კუნძულზე საბჭოთა კავშირში პირველი საკონცენტრაციო ბანაკის მუზეუმის შესასვლელში გამოტანილი ბოლშევიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის სიტყვებს: „Железной рукой загнать человечество к счастью“). თქვენს მიერ ატაცებული ფრაზის ავტორმა იგი გამოიყენა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით და მხოლოდ ამდენად შეიძლება მას გამართლება მოეძებნოს. მაგრამ თქვენ, მწერალ კაცს, რომელიც „პასუხისმგებლობას გრძნობს ერის წინაშე, საკუთარი პერსონის განდიდებაზე კი არ ფიქრობს, ერის ინტერესებით სჯის და წონის“, ამის გამეორება არ გეპატიებათ. ნუ ჩამთვლით ვულგარული მარქსიზმის ინტერპრეტატორად ისტორიაში ხალხთა მასების როლის შესახებ, მაგრამ ხალხისათვის ზემოდან ცქერას, მისი გულისხმისთვის ყურის არ გდებას არავისთვის სიკეთე არ მოუტანია.

თქვენ ბრძანებთ, ხომ არ შემოაგდო მტერმა შეგნებულად განხეთქილების ვაშლი ეროვნულ მოძრაობასა და ინტელიგენციას შორისო? გარედან სატანა ვერაფერს დაგვაკლებს, თუ ჩვენ თვითონვე არ ვიქნებით ამისთვის მზად. ხალხზე ზემოდან ყურება სატანის საბუქნავად შესანიშნავ სარბიელს იძლევა. რაც შეეხება განხეთქილების ვაშლს, მე იგი ცოტა სხვაგან მეგულება, ბატონო ვახტანგ, და ამაზეც მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას:

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს პრესაში აშკარად გამოჟონა ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლამ. მოდით, ერთად გავადევნოთ თვალი ამ ბრძოლის ფსიქოლოგიურ მოტივებს.

ზვიად გამსახურდია ეროვნული მოძრაობის „ერთ-ერთი პოპულარული ლიდერი“ კი არაა, როგორც ეწერა ერთი კაცის წინააღმდეგ „დემოკრატიის დასაცავად ამხედრებული“ 21 კაცის წერილში, არამედ XX საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი წინამძღოლი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ შინაგანად მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ლიდერობისა და ლიდერისა საერთოდ, რადგანაც ვთვლი, რომ პიროვნების თავისუფლება არის ყველაზე მაღალი ღირებულება ამ ქვეყნად, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ გზა პიროვნების თავისუფლებისაკენ ერის თავისუფლებაზე გადის და არა პირიქით. ამიტომ აქვს გამართლება პიროვნების მიერ ერისათვის თავის შეწირვას, რითაც ხორციელდება პერსონის თავისუფლება, ამ თავისუფლების პირობის დასაცავად. სავსებით ცხადად მესმის აზრი სარტრის პარადოქსისა, რომელიც თქმაზე: „ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი გმირები ჰყავს“, პასუხობს: „უბედურია ის ერი, რომელიც ასეთ გმირებს საჭიროებს“.

ლიდერზე მოთხოვნილება ჩვენი დალხინებული ცხოვრებით არ არის გამოწვეული. მის საჭიროებას ქმნის ის ექსტრემალური ვითარება, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას. „მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ და არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი“, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ბატონო ვახტანგ. მეც, თქვენც, ის 21 კაციც და მათი მსგავსიც, ერთად რომ დავდგეთ და ვიყვიროთ, საქართველოს უშველოთ-თქო, შეიძლება მეორე იმდენი მოგროვდეს, რამდენიც ჩვენ ვიქნებით, ხოლო ზვიად გამსახურდიას დაძახილზე ქუდზე კაცი [illegible] (იმათ გარდა, ვისაც პირადი ამბიციები აქვს ეროვნულ მოძრაობაში). ქუდზე კაცი კი შეიძლება ყოველ წუთს დაგვჭირდეს. ამიტომ, მოდით, ნუ შევუბღალავთ ქართველ ხალხს ამ სიმბოლოს. თქვენ დემოკრატიის დასაცავად იმაღლებთ ხმას, ბატონო ვახტანგ, მაგრამ ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ დღევანდელი ჩვენი დემოკრატია ყინვით დამზრალი და თბილ ფუნაში ჩავარდნილი ჩიტის ჭიკჭიკსა ჰგავს. თავისუფალ საქართველოში თავისთავად მოიხსნება ლიდერის საჭიროებაც და ჭეშმარიტი დემოკრატიაც დამყარდება. მანამდე კი არ არის საჭირო ზვიად გამსახურდიასადმი პირადი შეუთავსებლობა დემოკრატიისათვის ბრძოლად მოვნათლოთ.

ცოტა გამიგრძელდა. განხეთქილების ვაშლზე და მის ფსიქოლოგიურ მოტივებზე მოგახსენებდით. თუ ხალხი ალალად, გულის ლოგიკით (რომელიც, თუკი პასკალს დავუჯერებთ, ბევრად უფრო უტყუარია გონების ლოგიკაზე) მიჰყვება ერთხელ აღიარებულ წინამძღოლს, ამ დროს ინტელიგენციის ნაწილში [illegible] ვერა და ვერ ინელებს მის ლიდერობას. მესმის, რომ არავინ არაა შეცდომებისაგან დაზღვეული, მაგრამ ღმერთივით უცოდველობას რატომ ვთხოვთ ჩვენს ცოდვილ მიწაზე ჩვენსავით გაჩენილ ადამიანს. ამის მიზეზი მრავალია: მისით უკმაყოფილო ინტელიგენციის ერთი ნაწილი არის „გაყიდული ხალხი“, თქვენვე აღიარებთ, რომ ასეთები ბევრი გვყავს. მათ უკვე დაკარგეს ძველი ხელისუფლების იმედი, მაგრამ ახალთან ადვილად მისასვლელი პირიც არა აქვთ. თავიანთი მყუდრო ცხოვრების დარღვევაში მთავარ დამნაშავედ ისინი ბატონ ზვიადს მიიჩნევენ, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ისინი მასში ხედავენ თავიანთი უაზროდ და უმიზნოდ გატარებული ცხოვრების მამხილებელს. ამას კი ადამიანები არავის და არასოდეს პატიობენ. საჯაროდ ისინი ხმას ვერ იღებენ, სამაგიეროდ კულისებში შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან.

ჩვენი პატიოსანი ინტელიგენციის (მადლობა ღმერთს, არც ისინი გვყავს ცოტა) ნაწილიც, რბილად ვიტყოდი, „თეთრ შურს“ ვერ მორევია. აბა, როგორი ასაღიარებელია, რომ კაცი, რომელიც შენს გვერდით არის, რომელზე ნაკლები მწერალიც არ ხარ, რომელზე ნაკლები ლიტერატურის სპეციალისტი, რომელზე ნაკლებ პოლიტიკოსადაც არ მოგვაქვს თავი, უცებ ხალხის მიერ დიდების კვარცხლბეკზეა შეყვანებული. ბუნებრივია, სურვილი გიჩნდება, რომ ხალხს უთხრა: ხალხო, რას სჩადით, ვის აღმერთებთ, ის ხომ ისეთია, როგორც ჩვენ. აი ნახეთ, როგორ შეიძლება იგი გავაკრიტიკოთ, შეცდომები აღმოვუჩინოთ, არადემოკრატიულობაში ვამხილოთ. თუ ხალხი არ დაგვიჯერებს და მის სიყვარულს არ მოიშლის, მაშინ ხალხზე გავბრაზდებით, ვუწოდებთ მას ბრბოს და ხალხად ქცევას მოვუნდომებთ. ნელ-ნელა მართლაც მივაღწევთ მიზანს, მართლაც მოვურყევთ დიდების კვარცხლბეკს, თან თავსაც დავირწმუნებთ, რომ ეს მომავალი საქართველოს ბედნიერებისათვის ჩავიდინეთ. გარდა ამისა, ინტელიგენცია თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება ბრძოლას, ხიფათს, ძალადობას, ბევრ ინტელიგენტში პოტენციური თეიმურაზ ხევისთავი ცოცხლობს, იგი ჯაყოსაც აიტანს გარკვეულ დრომდე, სანამ იგი საშინელებათა გაკვეთილებს არ ჩაუტარებს.

სწორედ ამიტომ, ჩვენს ინტელიგენციაში უკვე შესამჩნევია ნელ-ნელა სვლა ეროვნულ მოძრაობაში მისდამი დაპირისპირებული მხარისაკენ.

საერთოდ, მრავალფეროვნების მიუხედავად, ისტორია მსგავსი სტრუქტურებით ვითარდება. პირველების ხვედრი ყოველთვის ძნელია და ხშირად საბედისწეროც. ნაყოფს, როგორც წესი, მეორენი იმკიან, ამიტომაც მედროვენი თადარიგს წინასწარვე იჭერენ და პოტენციურ მეორეს უკმევენ გუნდრუკს. ეს მათი გამოცნობის უტყუარი ხერხია...

და ბოლოს, ბატონო ვახტანგ, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს დავესესხები ორიოდე სიტყვას — ერთი თაობის კაცებში არჩეული გზის გაკრიტიკება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუკი იქვე ეტყვი, როგორ უნდა მოიქცეს იგი.

ალბერტ შვაიცერი წერს, რომ რომის იმპერიის დაღუპვა, მის სათავეში მდგომი უნიჭიერესი მმართველების თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, საბოლოოდ აიხსნება იმით, რომ ანტიკურმა ფილოსოფოსებმა ვერ შეძლეს წამოეყენებინათ მსოფლმხედველობა, რომელიც შეიცავდა იმპერიის შენარჩუნების დამამტკიცებელ იდეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული იმპერიაც ყოველთვის რაღაც იდეის დროშით გამოდიოდა. თუ XIX საუკუნეში მან შორეული აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აზია განმანათლებლობის იდეით დაიპყრო, XX საუკუნის პირველ ათწლეულში ეს იდეები სავსებით გაუფასურდა და მისი ჭეშმარიტი ზრახვები გამოჩნდა. და[...] კიდეც ლიბომორყეული იმპერიის დაშლა და აქ მას სწორედ სულზე მოუსწრო სოციალიზმის „გამომხსნელმა" იდეებმა. კომუნიზმის იდეალმა 70 წლით გაუხანგრძლივა არსებობა იმპერიას და ახლა, უკვე, მისი გავლენაც საბოლოოდ იშრიტება. იმპერიის სათავესთან მდგომ ადამიანებს გააზრებული აქვთ ახალი იდეალების საჭიროება. თუკი ეკონომიკურ კრიზისს უახლოეს ხანში თავს დააღწევენ, ისინი შეძლებენ ახალი იდეალების მონახვას, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაუგრძელებს იმპერიას არსებობას. ახალი იდეალის ნიშნები შეიძლება დავინახოთ კაცობრიობის გლობალურ პრობლემებზე აპელირებით „საერთო ევროპული სახლის" შექმნის აუცილებლობის ქადაგებაში. სამწუხაროა, რომ ქართველი გენიც აქტიურად მონაწილეობს იმ იდეალების შექმნაში. ჩვენი ნაციონალური თვითმყოფადობის საკითხი იმდენად უმნიშვნელო ჩანს გლობალურ პრობლემებთან მიმართებაში, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ჩაგვქოლავს კიდევაც, თუკი ჩვენი ეროვნული მეობის დაცვას დავიწყებთ, გამოგვაცხადებენ ბარბაროსებად და ველურებად. მაშინ ბრძოლა მოგვიწევს არა მარტოოდ მოდერნიზებულ იმპერიასთან, არამედ მთელ მსოფლიოსთან, ჩვენ ვერ ვეყოფით ამას და ნელ-ნელა შემოგვეპარება კოსმოპოლიტური ბანგი.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვაქვს დარჩენილი, იმ ფუფუნების ნება არა გვაქვს, რომ ეროვნული მოძრაობა ცალკეულ პარტიებად დავაქუცმაცოთ, მასში ჩვენი საკუთარი ბილიკები გავკვალოთ. წილი უკვე ნაყარია, რუბიკონი გადალახულია და ვაი ჩვენ, თუკი შუა გზაზე შევჩერდებით. თუ ეროვნული მოძრაობა ამჟამად დამარცხდება, რჩება უკანასკნელი გზა რელიგიური მისტიკისა, რაც საქართველოს საბოლოო დაღუპვას ნიშნავს. რელიგიური ნირვანა (ლაპარაკი არაა ჭეშმარიტ ქრისტიანობაზე) მოგვიჩლუნგებს სიცოცხლის იმ სიყვარულს, რომელიც ქართველი კაცის შემართებას და შეუპოვრობას განაპირობებს. მაშინ მოგვიტრიალდება ყველა, შინაური და გარეული მტერი და ერთბაშად ან ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით აგვფხიკავს ისტორიის არენიდან.

ჩვენს წინაშე დღეს საკითხი ასე დგას: ან — ან, ან გავთავისუფლდებით, ანდა დავიღუპებით. მესამის დრო უკვე აღარ არის.

სწორედ ამიტომ არის დღეს აუცილებელი ყველას გაერთიანება [...]ომახიანი ქართული შეძახილი: ან დღეს, ან არასოდეს.

საქართველო დღეს ალყაშემორტყმულ ციხეს ჰგავს. ალყაშემორტყმულ ციხეს კი ერთი აზრი და ერთი სარდალი უნდა ჰყავდეს. ნუ ვტეხთ ციხეს შიგნიდან, ნუ დავემსგავსებით იმ მეციხოვნეს, რომელიც ციხიდან გარბის და თან იძახის, კუპრს ნუ ასხამთ თავზე გარს შემომდგარ მტერს, ეს არაა ვაჟკაცთა წესიო.

თუ მედგრად და, რაც მთავარია, ერთად არ ვიდგებით, ჰაი-ჰაი, შემოგვივარდებიან ციხეში და თავზე დაგვამხობენ ადუღებული კუპრის ქვაბებს.

**თემურ ფიფია.**

**17 დეკემბერი, 1989 წ.**

**P.S. მკითხველ საზოგადოებას ბოდიშს ვუხდით წერილის „არადანიშნულებისამებრ" გამოქვეყნების გამო, მაგრამ სამი კვირის მანძილზე იგი ამაოდ იდო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" რედაქციაში.**

# ღია წერილი

## აფხაზეთის ასსრ პროკურორს აპოლონ კვიცინიას

**აფხაზეთში** ივლისის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ ექვსმა თვემ განვლო. ყივის უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლი და ითხოვს სამართლის აღდგენას. როგორც მოგეხსენებათ, ბატონო აპოლონ, სამართლის დადგენაში უპირველესი როლი პროკურატურას ეკუთვნის. მაგრამ ვინ როგორ ემსახურება ამ მიზნების გადაწყვეტას, ეს ამ ამოცანის მეორე მხარეა. ყველა კანონით პროკურორს უპირველესად სამართლიანობა და მიუკერძოებლობა მართებს. მართალი გითხრათ, ჩემს ცხოვრებაში ასე ცხადად პირველად ვიგრძენი, რამდენად დიდი პიროვნება დაკარგა აფხაზეთმა თქვენი წინამორბედის, აწ გარდაცვლილ ვიქტორ ვარდიას სახით. ისიც ხომ აფხაზი იყო... მთავარია ადამიანობა და არა თანამდებობა.

ჩემი სიტყვების დასტურად სისხლის სამართლის ორი სხვადასხვა საქმიდან ორი ფაქტი მინდა მოვიყვანო და დაგისვათ შეკითხვა: როგორ მოხდა ეს?

16 ივლისს გულრიფშის რაიონის აეროპორტში დაიღუპა ცვლის უფროსი კოლონია; ბრალი მის მკვლელობაში მილიციის უფროს ლეიტენანტ კვარაცხელიას დაედო. საბოლოოდ ამ საქმეს იძიებდა გამომძიებელი ტარადანოვი, რომელმაც კვარაცხელიას საქ. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ბრალდება 105-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით წაუყენა. მე შევისწავლე ამ საქმის მასალები და დავრწმუნდი, რომ გამოძიების დროს უხეშად დაირღვა მე-18 და 206-ე მუხლები და საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ძიება წარიმართა ცალმხრივად და ტენდენციურად, საბრალდებო დასკვნა არ შეესაბამება საქმის მასალებს, საბრალდებო ვერსია შეთხზულია ხელოვნურად. აი, ერთი მონაკვეთი ამ საქმიდან: მკვლელობის მოტივად ძიებამ გამოიყენა ეროვნული შუღლის ვერსია (საბრალდებო დასკვნა—ფ. 9) და კატეგორიულად აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ კვარაცხელიას მოქმედების მამოძრავებელი მოტივი იყო ცვლის უფროსის, კოლონიას, გადარჩენა გალიზიანებული და აღელვებული ქართველთა ჯგუფისაგან. ამის გაკეთება ერთობ ძნელი იყო, რადგან კოლონია განაგრძობდა ქართველთა ეროვნული და ადამიანური თავმოყვარეობის დამცირებას, რითაც მოხდა ამ შეტაკების პროვოცირება. შემდეგ კოლონია ლამობდა კვარაცხელიასათვის პისტოლეტის წართმევას და ამ დროს გავარდა საბედისწერო ტყვია. მაგრამ საბრალდებო დასკვნა, საგამომძიებლო მასალებისაგან განსხვავებით, „ამტკიცებს", რომ კვარაცხელიას ამოძრავებდა ეროვნული შუღლი კოლონიას მიმართ.

საქმის მესამე ტომში (ფ. 8-9) ვკითხულობთ: „მიუხედავად რეალური საფრთხის არ არსებობისა... კვარაცხელიამ ამოიღო სატაბელო იარაღი — „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი — და ჩახმახზე შეაყენა; მან პისტოლეტი არ დააყენა დამცველზე". მაგრამ ეს მტკიცება უსაფუძვლოა და ამის დამამტკიცებელი არც ერთი ფაქტი არ გააჩნია გამოძიებას. ასეთი დაუმტკიცებელი ვერსია საბრალდებო დასკვნის ძირითადი საფუძველია.

სისხლის სამართლის კონკრეტულად ამ საქმის ძიებაში დაშვებულია 22 საგამომძიებლო შეცდომა. მე შემიძლია სათითაოდ ჩამოგითვალოთ ეს შეცდომები, მაგრამ ამას დიდი დრო და ადგილი სჭირდება. თუ ყურადღებით შევისწავლით სისხლის სამართლის ამ საქმის ყველა მასალას, გაგვიჩნდება კითხვა: აქედან გამომდინარე შედეგებით არის თუ არა ამ საქმეში დანაშაულის შემადგენლობა?.. ამ საქმის საბრალდებო დასკვნა კი თქვენს მიერ არის დამტკიცებული.

1989 წლის 15 ივლისს აფხაზი მოსახლეობის ექსტრემისტულად განწყობილმა ნაწილი თავს დაესხა ქართველ მოსახლეობას რუსთაველის სახელობის პარკში, მოკლეს არაფორმალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ ვეკუა — ორი ვაჟიშვილის მამა, პატიოსანი მოქალაქე, საქართველოს ერთგული შვილი, რომელსაც არც სიტყვით და არც მოქმედებით არ მიუყენებია შეურაცხყოფა აფხაზი ხალხისათვის, მთელი თავისი სიცოცხლე სიკეთესა და მშვიდობას თესდა. 40 წლის ასაკში მას მკვლელად მოევლინა იური პალბა — 26 წლის ახალგაზრდა კაცი, ანტიქართული ფსიქოზით შეპყრობილი, რომელმაც თავისი ველური მიზნის მისაღწევად პირველყოფილი იარაღი — ჯოხი — გამოიყენა.

გამომძიებელმა ა. ქურხულიშვილმა მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაატარა ძიება: საბრალდებო და საქმის მასალები სრულიად ეთანხმება ერთმანეთს. პალბას დანაშაული მთლიანად დამტკიცებულია, ბოროტმოქმედების მოტივი გამოაშკარავებულია, კანონიერად წამოყენებულია ბრალდება საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მაგრამ თქვენ, ბატონო აპოლონ, კატეგორიული უარი განაცხადეთ საბრალდებო დასკვნის დამტკიცებაზე, რის მოტივადაც ასახელებთ იმას, რომ ეს იყო ეროვნებათშორისი კონფლიქტის ნიადაგზე აღმოცენებული შეტაკება (რაც ორივე ერის თანაბარ დანაშაულს გულისხმობს) და არა იმას, რომ ეს იყო ერთი ეროვნების წარმომადგენელთა თავდასხმა სხვა ერზე. ნუთუ თქვენ დღემდე ვერ გაერკვიეთ სიმართლეში?! საბრალდებო დასკვნა მაინც დამტკიცდა საქართველოს პროკურორის მოადგილის ნ. შოშიაშვილის მიერ, რომელიც დაეთანხმა ძიების ყველა ფაქტსა და დასკვნას. თქვენ ხომ ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი ბრძანდებით, ბატონო აპოლონ! რატომ უნდა მიექცეს ყურადღება ადამიანის ეროვნებას მისი უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დანაშაულის დადგენის დროს?!

მაგალითად მოვიყვან თქვენს მიერ დამტკიცებულ კიდევ ერთ საბრალდებო დასკვნას.

1989 წლის 1 აპრილს ბზიფის ხეობაში მოხდა თავდასხმა ორ ავტობუსზე. ამათგან ერთში ისხდნენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც თანაკურსელის დაკრძალვიდან ბრუნდებოდნენ, ხოლო მეორეში — სოხუმის ქართველი ეროვნების მოქალაქეები, რომლებიც დაბა ლესელიძეში ჩატარებული მიტინგიდან ბრუნდებოდნენ. ავტობუსების დარბევა 40 კილომეტრის მანძილზე ხდებოდა, რის შედეგადაც დაიჭრა 24 ადამიანი, ფულადმა ზარალმა 10 000 მანეთი შეადგინა, ხოლო მთელ ქართველ ერს მორალური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ძიება საკავშირო პროკურატურის საგამომძიებლო ჯგუფმა წარმართა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია გ. ჯენია, გ. დბარი, ვ. ლაგვილავა, ვ. დარსალია.

საგამომძიებლო ჯგუფმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლი მთლიანად დაარღვია. არ არის დადასტურებული ბრალდებულთა დანაშაული და ამით დარღვეულია ამავე კოდექსის 141-ე და 206-ე მუხლები.

ერთი ასეთი ფაქტი — ლაგვილავას ბრალად ედება დანაშაულში მონაწილეობის მიღება, მაგრამ გამოძიება არ იძლევა პასუხს კითხვაზე: რაში გამოიხატება ეს მონაწილეობა — შესრულებაში, წამქეზებლობაში, ხელის შეწყობაში, თუ დანაშაულის ორგანიზებაში. ეს არის დამნაშავის უფლებების ხელყოფა ცდცვაზე.

ამ სისხლის სამართლის საქმეში არ არის დაკმაყოფილებული დაზარალებულებისა და მოწმეების კანონიერი მოთხოვნები.

12 ტომიან საქმეში დაშვებულია 31 საგამომძიებლო შეცდომა, მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა ამ საქმის ორ ეპიზოდად გაყოფაა, რაც ეწინააღმდეგება საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-418 მუხლს.

ამ სისხლის სამართლის საქმის კანონიერ და ობიექტურ განაჩენზე ბევრად არის დამოკიდებული დღევანდელი ეროვნებათაშორისი კონფრონტაციის გადაწყვეტა. ძიება ჭიანურდება, გამოიკვეთა ზოგიერთი წრის მიერ სინამდვილის მიჩქმალვით დაინტერესება და ეს ფაქტიურად აფხაზეთში 15-16 ივლისის მკვლელობების ლიცენზია გახდა. ძალიან ძნელი ასახსნელია, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობს პროკურორი, როცა ამტკიცებს ასეთი სადავო საქმის საბრალდებო დასკვნას. ნუთუ მისი მიზანი დამნაშავეთა დაუსჯელობაა?

ბატონო აპოლონ! მე შემიძლია მოგმართოთ კიდევ მრავალი კითხვით, მაგრამ თავს შევიკავებ და მხოლოდ ერთს შეგეკითხებით: ვისი წყალობითაა დღეს ძებნაში მკვლელი ი. კვიცინია? ის კვიცინია, რომელსაც ბრალად 19 წლის დედისერთა რამაზ მღებრიშვილის მკვლელობა ედება. სავარაუდოა აგრეთვე, რომ მის მიერაა მოკლული აფხაზი ეროვნების ჩხოტუა; გასაგებია, ეს უკანასკნელი განგმირულია ბრმა ტყვიით, მაგრამ განა ეს ათავისუფლებს ვინმეს პასუხისმგებლობისაგან? და რა ფასი აქვს თქვენს პირობას, მიცემულს საგამომძიებლო ბრიგადის ხელმძღვანელისადმი, რომ პირველი მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფდით კვიცინიას გამოცხადებას საგამომძიებლო ორგანოებში?

მე ხშირად ვფიქრობ ამ და სხვა ფაქტებზე და მიჩნდება ერთი და იგივე შეკითხვა: 20 წელზე მეტი თქვენ იცხოვრეთ და იმუშავეთ თბილისში და ნუთუ ვინმემ შეურაცხყო თქვენი ადამიანური და ეროვნული ღირსება? რითი დაიმსახურეს ქართველებმა თქვენში დაბუდებული ამდენი გესლი?

**რუსუდან ქორჩილავა,**
**საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე.**

# გამოხმაურება

თქვენი გაზეთის მეორე ნომერში (28. I. 90) გამოქვეყნებულ ო. ლექავას წერილში დაუმსახურებლად არის გაკრიტიკებული უნივერსიტეტის სახალხო კონტროლის კომიტეტი, რის თაობაზეც გაცნობებთ შემდეგს:

ო. ლექავას განცხადება, რომელიც უჩივის უნივერსიტეტის №321 საბინაო-საამშენებლო კოოპერატივის გამგეობას (კოოპერატივი ჩამოყალიბდა 1970 წელს), რექტორატის მიერ განსახილველად გადმოეცა სახალხო კონტროლის კომიტეტს 1985 წლის 20 დეკემბერს. 23 იანვარს ო. ლექავას გაეცა წერილობითი პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის საბინაო-საამშენებლო კოოპერატივის გამგეობას გააჩნდა სერიოზული დარღვევები, რაზედაც 1976 წლის 9 მარტს უმსჯელია პარტიულ კომიტეტს. და მიღებული დადგენილების თაობაზე განთავისუფლდა კოოპერატივის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ხაზინადარი. პარტიული სასჯელი დაედო მთელ რიგ ამხანაგებს. ო. ლექავას კოოპერატივიდან გამოყვანის მიზეზი გახდა ის, რომ ერთ სულზე მას მიღებული აქვს ოროთახიანი იზოლირებული ბინა. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხი განხილულია ორჯონიკიძის სახელობის რაიალმასკომში, ქ. თბილისისა და საქართველოს რესპუბლიკურ პროკურატურაში.

საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ვურჩიეთ, რომ მიემართა სახალხო სასამართლოსათვის.

**ი. ადეიშვილი,**
**სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, დოცენტი.**

●

ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის ა. წ. 28 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ომარ ლექავას წერილში საუბარია საბინაო-საამშენებლო კოოპერატივ „უნივერსიტეტი 321" შესახებ. ნახსენები ვარ მეც, როგორც გარკვეულ პერიოდში ამ კოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, თქვენი გაზეთის მკითხველებს აცნობოთ შემდეგი:

კოოპერატივის „უნივერსიტეტი 321" სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ მე არჩეული ვიყავი ერთ საანგარიშო პერიოდში ორი წლით (1973 წ. დასასრული — 1976 წ. დასაწყისი). ამ პერიოდში კოოპერატივში არ მიმდინარეობდა არავითარი თანხის შეგროვება, არც არაოფიციალურის (როგორც ეს წერილშია მითითებული) და არც ოფიციალურის. ფინანსური ოპერაციები კოოპერატივმა ჩაატარა ბევრად უფრო ადრე, მისი ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე.

**პატივისცემით,**
**ელგუჯა ხინთიბიძე.**

●

გაზეთმა „საქართველომ" ა. წ. 28 იანვარს თავის რუბრიკაში „წერილები რედაქციას" გამოაქვეყნა ო. ლექავას წერილი, რომელშიც მთელ რესპუბლიკაში შექმნილი მაფიის გრანდიოზული სურათია დახატული. მაფიის უმთავრესი მიზანი ყოფილა არამც და არამც არ მიეცა ო. ლექავასათვის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოოპერატივში ბინის აშენების უფლება. ავტორის ბელეტრისტულმა ფანტაზიამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მხოლოდ გასული წლიდან მოყოლებული, მის წინააღმდეგ მრავალრიცხოვან მებრძოლთა შორის მეც მიმიჩინა როლი. თუმცა ჩვენი ეპიზოდური შეხვედრა სულ ცოტა 12 წლის წინათ მოხდა და მან მშვენივრად იცის, რომ მისი ბიოგრაფიის ე. წ. კოოპერატიულ ნაწილთან მე არავითარი კავშირი არ მაქვს. საკმარისია ლოგიკური აზროვნებისა და ანალიზის ელემენტარული უნარი, რომ ადამიანი მიხვდეს, თუ რაოდენ უსაფუძვლო და ამასთანავე აბსურდულია ავტორის პრეტენზიები ჩემს მიმართ.

გაოცებას იწვევს მხოლოდ ის, თუ რატომ მისცა გაზეთის რედაქციამ თავს უფლება, გამოექვეყნებინა წერილი ო. ლექავას მიერ გამოთქმული პრეტენზიების იმ პირებთან ყოველგვარი შემოწმების გარეშე, რომელთა წინააღმდეგაც არის მიმართული ავტორის პათოსი.

დასასრულ მინდა დავძინო, რომ ძნელია ო. ლექავასაგან უბინაობით დათრგუნული წამებულის სახება შევქმნათ, რადგან მას, მარტოსულს, სწორედ მისი საკოოპერატივო ბატალიების დაწყების წინ სახელმწიფომ ოროთახიანი იზოლირებული ბინა მისცა. ხოლო რაც შეეხება გაზეთს, მას, ვფიქრობ, მეტი კორექტულობა მართებს უნივერსიტეტისა და თავისი კოლეგების წინაშე.

**რ. გორდეზიანი**

**რედაქციისაგან:** რედაქციას არ შეუმოწმებია ო. ლექავას წერილში აღნიშნული ფაქტების სისწორე; ამას ვერც შევძლებდით, რადგან ეს სულ სხვა ორგანოს ფუნქციაა. თუ წერილში უსაფუძვლოდ არის გაკრიტიკებული რომელიმე პიროვნება, რედაქცია სინანულს გამოთქვამს ამის გამო.

სიმართლე რომ ითქვას, არც ვაპირებდით ამ წერილის გამოქვეყნებას, რადგან თემატურად და პრობლემურად იგი არ წარმოადგენს ჩვენი გაზეთისთვის მისაღებ მასალას, მაგრამ საქმე უნივერსიტეტს ეხებოდა და იქ გამოვლენილი მართლაც უნივერსიტეტის სახელის შემლახავი დარღვევებს. ამ საქმის შესახებ დიდი ხანია ცნობილია, ათასი ინსტანცია მოიარა საჩივრებმა, მაგრამ გარკვევას და ჭომჩივანთა დაშოშმინებას საშველი არ დაადგა...

ასეთ შემთხვევაში ჩვენ არავის მოვრიდებივართ, რადგან ჩრდილი ჩვენს უნივერსიტეტს ადგებოდა. მომავალშიც, საჭიროებისამებრ, ასევე მოვიქცევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს
# საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
# ბატონ გივი გუმბარიძეს

**მოვითხოვთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევას არა უგვიანეს ა. წ. 10 თებერვლისა შემდეგი საკითხების განსახილველად:**

**1. საბჭომ უნდა გამოთქვას თავისი მოთხოვნა არმიაში ქართველი ახალგაზრდობის ბედის თაობაზე და გამონახოს საშუალება ამ ქართველი ახალგაზრდების სიცოცხლისა და ღირსების დასაცავად მშვიდობის პირობებში, აგრეთვე საშუალება იმის გარანტიის მოპოვებისა, რომ ქართველი ჯარისკაცი არ აღმოჩნდეს ჩათრეული მეზობელი ერების კონფლიქტში და ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით სამხედრო აქციებში ამ ერთა ტერიტორიაზე.**

**2. საბჭომ უნდა მისცეს პოლიტიკური შეფასება 17-18 ნოემბრის სესიის შემდეგ მომხდარ ანტიქართულ გამოსვლებს ცხინვალის ოლქში და მოახდინოს ამ ოლქის მართვის მექანიზმთა შესაბამისი რეფორმირება.**

**3. საბჭომ უნდა გამოაცხადოს საქართველოს ნეიტრალიტეტი, რათა ამით გაზარდოს საქართველოს გადარჩენის ალბათობა ჩვენს რეგიონში დიდმასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში.**

**4. საბჭომ უნდა მიიღოს საქართველოს ინტერესთა შესაბამისი კანონი საკუთრებისა და მიწის შესახებ, რათა დაასწროს საქართველოს ინტერესთა შემლახავი ანალოგიური კანონების მიღებას სსრკ უზენაესი საბჭოს სესიის მიერ.**

**5. სესიამ უნდა განიხილოს იმ ქართველი ჯარისკაცების ბედის საკითხი, რომლებიც ეროვნული შეურაცხყოფისა და ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლის სისტემატური ხელყოფის გამო იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ სამხედრო სამსახური.**

**6. სესიამ უნდა აკრძალოს ერთაშორისი კონფლიქტების შედეგად ლტოლვილ მიგრანტთა ჩაწერა საქართველოში და სამეურნეო მიზნებით მუშახელის შემოყვანა.**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები:**

**ნ. ნათაძე,**
**ლ. ლოლობერიძე,**
**ჯ. ჩარკვიანი.**

**28 იანვარი, 1990 წ.**

## არჩევნები, არჩევნები

**თბილისის ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმის კოლექტივს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო ფრონტს**

პრესიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია საქართველოს კპ თბილისის საბურთალოს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ი. ი. ხუციშვილი. მისი კანდიდატურის წამოყენება მოხდა თბილისის ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმის შრომითი კოლექტივის და მოსწავლეთა საერთო კრებისაგან. სწორედ ამ ფაქტმა გადაგვაწყვეტინა მოგვემართა თქვენთვის და აი, რატომ:

ყოველ ჩვენგანს უდიდესი დაფიქრება გვმართებს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის თითოეული კანდიდატურის დასახელებისას, ვინაიდან დეპუტატთა კორპუსი უნდა შეივსოს ჩვენი საზოგადოების მხოლოდ რჩეული წარმომადგენლებით, იმ ძალებით, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი საზოგადოების წინსვლას და აღორძინებას.

ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად 1989 წლის 18 თებერვალს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქართველი ახალგაზრდობის ერთმანეთზე მისევის ერთ-ერთი ორგანიზატორის, არაობიექტური, ბიუროკრატი ხელმძღვანელის ი. ხუციშვილის დატოვება, რომელიც ამავე დროს არის სუსტი ორგანიზატორი და აკლია ხელმძღვანელის კულტურა.

როგორც ცნობილია, 1989 წლის 18 თებერვალს მიტინგის დარბევის საკითხის გამოსაკვლევად შეიქმნა სპეციალური კომისია სსრკ სახალხო დეპუტატის პარმენ მარგველაშვილის თავმჯდომარეობით. ამ საკითხის ირგვლივ სათანადო მსჯელობა გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზეც, როდესაც მოისმინეს 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით კომისიის დასკვნა.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თბილისის ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმის კოლექტივი არ იყო ინფორმირებული აღნიშნულ ფაქტებზე.

მოგიწოდებთ, კოლექტივმა ხელმეორედ იმსჯელოს დეპუტატობის კანდიდატად ი. ხუციშვილის წამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე, რომელსაც ჩვენ დავესწრებით და თვითონ აღკვეთოს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში უღირსი კანდიდატურის წამოყენების ფაქტი. ეს იქნება ტექნიკუმის კოლექტივის გარკვეული სამსახური ქართველი ერის წინაშე.

ჩვენ უნდობლობა უნდა გამოვუცხადოთ ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის 9 აპრილის ტრაგედიაში, არ დავუშვათ მათი კანდიდატურების არჩევა საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში.

**ა. კოტარია,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი, უნივერსიტეტის ომისა და შრომის ვეტერანის საბჭოს თავმჯდომარე, პარტიის წევრი 1941 წ. დეკემბრიდან;**
**ი. არაჩემია,**
**„საქსაწგზატრანსპროექტი"-ს ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.**

### პასუხი გვეგების!

სრული შეგნებით მინდა ვაუწყო საზოგადოებას, რომ შემოქმედებით ბიუროკრატიას ერთიორად მეტი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, რადგან მაღალი სულიერი ფასეულობის პროფესიით შენიღბულს მხოლოდ ოფიციალური ძალაუფლების ერთგულებით შეუძლია მოპოვებული სოციალური პრივილეგიების შენარჩუნება. იგი ვერ და არ განუდგება ოფიციოზს მანამ და ვიდრე არ დარწმუნდება მის რეალურ დასუსტებაში. ეს კონიუნქტურული მორალი კიდევ უფრო საშიშად რომ აქცევს ამ ბიუროკრატიას, კარგად გვარწმუნებს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ცხოვრების დღევანდელობა, რომლის მესვეურები კარგა ხანია „საჭეთმპყრობელთა" რიგებში მოექცნენ და ხელმოცარულთა თუ მავანთა საკუთარი ამალით გარსშემოხვეულებმა უზნეობას დიდი ასპარეზი მისცეს.

კვლავაც ამაში გვარწმუნებს დეპუტატთა არჩევნების, უფრო ზუსტად კი, არჩევნების ჩასაშლელად აქ მოწყობილი სპექტაკლი. ჩაშლა შესანიშნავად მოხერხდა და კომპოზიტორთა კავშირის საზოგადოებრიობა უდეპუტატოდ დარჩა.

ამისათვის კი: ვადის გასვლამდე თითზე ჩამოსათვლელი დრო შეირჩა; კრების პროცედურის პუნქტი დაირღვა დამსწრეთა არასრული რაოდენობის მიღებით მოყოლებული, ფარული კენჭისყრითა და ხმის დათვლის საეჭვო შინაარსით დამთავრებული.

რატომ? დიახ, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ძლივსღა შერჩენილ ზნეობას „არეულობა" არ შეეტანა ბიუროკრატისტულ კეთილდღეობაში და ამასთან „ერთის" უზენაესობას ფუძე არ მორღვეოდა.

ჩვენ მაინც გვწამს საზოგადოების უკეთესი ხვალისა და ამიტომ ვუცხადებთ **უნდობლობას** და **საჯარო პროტესტს** საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეებლთ, ამიტომ მოვუწოდებთ ყველა ინტელიგენტს — პასიურობის დრო აღარ არის, ფრთხილად, გუშინდელი უკუღმართობა ხვალინდელსაც არ შეეპაროს, თორემ ვეღარაფრით გავიმართლებთ თავს შუბლნათელი ახალგაზრდობის წინაშე.

**ნათელა სვანიძე,**
**კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.**

●

მიმდინარე წლის 29 იანვარს ფოთის საქალაქო სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას „არაოფიციალური" ვიზიტით ეწვივნენ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორები, შორენა ცომაია და ნარგიზა გაბელია, რომლებმაც მოითხოვეს კოლექტივის საერთო კრების მოწვევა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასასახელებლად.

იმის გამო, რომ პოლიკლინიკის თანამშრომლები ორ ცვლად მუშაობენ, კრება არ შედგარა. ინსტრუქტორებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ მეორე დღეს შ. ცომაია კვლავ ეწვია პოლიკლინიკას და დაჟინებით მოითხოვდა კრების ჩატარებას. კრება შედგა. შ. ცომაიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მწერალი შ. ნიშნიანიძე.

მიუხედავად პოლიკლინიკის თანამშრომელთა წინააღმდეგობისა, პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორმა შეძლო, რომ კოლექტივს „აერჩია" მათ მიერ შემოთავაზებული კანდიდატი, ხოლო ოქმის გაფორმება, საოლქო საარჩევნო კომისიაში მისი წარდგენა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დეპეშის გაგზავნა პარტიის საქალაქო კომიტეტმა თავად იკისრა.

ჩვენ, პოლიკლინიკის თანამშრომლებს, არავითარი პრეტენზია არა გვაქვს ბატონ შ. ნიშნიანიძის კანდიდატურის მიმართ, მაგრამ განცვიფრებას იწვევს მისი დასახელებისა და არჩევის ფაქტი კოლექტივის აზრის გაუთვალისწინებლად და გვაინტერესებს, რამდენად კანონიერია პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის თანამშრომელთა ქმედება.

**ფოთის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები: ლ. ჟანტურია, ზ. ბოგდანოვა, მ. კუპრაძე და სხვ.**

### საარჩევნო სალაღობო

ძვირფასო ბიუროკრატებო, მექრთამეებო, მიწისა და ადამიანის გამყიდველებო, ყველა ჯურის თაღლითებო და კარიერისტებო! ვიცით, რომ თქვენ სულიერ წყობაში ახალი ელემენტი გაჩნდა: გარდა კარგი ბინისა, აგარაკისა, ხიზილალისა, მწვადისა, ავტომობილისა და სხვა ამდენადვე მომხიბლავი საგნებისა ახლა „დესერტად" პოლიტიკური მოღვაწისა და კარგი კაცის სახელიც გწადიათ. თქვენი ეს წადილი დიდად საპატიოა. ბევრი თქვენგანი, უთუოდ, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობასაც მოისურვებს და არ დაიშურებს მრავალგვარ დაპირებებს ამომრჩეველთა წინაშე, თუმცაღა მათ შესასრულებლად მომავალში დიდად არ შეიწუხებს თავს. თავს უფლებას ვაძლევ, შეგახსენოთ: თუ წინასაარჩევნო დაპირება არ გამართლდა, ამომრჩევლებს დეპუტატის გაწვევის უფლებაც აქვთ!

**„ფრონტელი"**

**შენიშვნა: ეს მიმართვა რედაქციაში შემოვიდა ორი კვირის წინ, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაშინ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.**

# ჩემს ამომრჩევლებს, არა მარტო ჩემს ამომრჩევლებს

ჩემი პროგრამა არ განსხვავდება სახალხო ფრონტის წინასაარჩევნო დეკლარაციისაგან, რომლის დედააზრია ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის პარლამენტური გზით. ყოველი კანონი, რომელსაც ამიერიდან მიიღებს ახალი უზენაესი საბჭო, უნდა იყოს ნაბიჯი ამ მიზნისაკენ. ამიტომ მომავალ უზენაეს საბჭოში უმრავლესობა უნდა მოიპოვონ სამშობლოსათვის ჭეშმარიტად თავდადებულმა, ზნეობრივად სრულყოფილმა სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილმა ადამიანებმა.

მედროვეებისაგან, კომფორმისტებისაგან, ფუნქციონერებისაგან, პირდაპირ ვთქვათ, მექრთამეებისა და ქურდებისაგან უნდა გაიწმინდოს უზენაესი საბჭო.

აი, ეს დიდი მისია გაკისრიათ დღეს, თქვენ, პატივცემულო ამომრჩევლებო!

დეპუტატი უნდა იყოს საქართველოს თავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი, მაგრამ ამომრჩეველიც ასეთი უნდა იყოს. ეს დროის მოთხოვნაა.

ქართველი ხალხი დგას დიდი გამოცდის წინაშე, თუ აირჩევს ჭეშმარიტ სახალხო დეპუტატს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და მოქალაქეს, ჭეშმარიტი უზენაესი საბჭო ეყოლება. თუ აირჩევს კვლავ ფუნქციონერებსა და მექრთამეებს, სკამებს ჩაბღაუჭებულ მშიშარა მედროვეებს, კვლავ ის ცრუ უმაღლესი საბჭო ეყოლება, რომელმაც სამოცდაათი წელიწადია გააჩანაგა ქვეყანა და საქართველო დაღუპვის პირას მიიყვანა.

დადგა დღე, როდესაც ყოველ თქვენთაგანს შეგიძლიათ მცირეოდენი სამსახური გაუწიოთ სამშობლოს.

პასუხისმგებლობით მოეპყარით არჩევნებს. ძველებურად, სასხვათაშორისოდ, ნუ ჩააგდებთ ყუთში ბიულეტენს. ხმა მიეცით იმას, ვინც მართლა ღირსეულ ადამიანად მიგაჩნიათ.

კომუნისტურმა პარტიამ თავისი თავი 1990 წლის თებერვლის პლენუმით საბოლოოდ დაისამარა — თურმე თავის ხალხს ტყვიას ესვრის და მერე იკვლევს, თუ ვინ ჩაიდინა ეს...

ამიტომ ხელისუფლება უსათუოდ გადაეცემა საბჭოებს, შეუძლებელია მკვლელები ხელისუფლების სათავეში იყვნენ.

ყოველი ამომრჩეველი ვალდებულია დღეს უდიდესი პასუხისმგებლობით მივიდეს საარჩევნო ყუთთან.

ამომრჩეველზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ამომრჩეველი ფაქტიურად გადაწყვეტს საქართველოს ბედს, ვინაიდან სწორედ ამ არჩევნების შედეგად, უახლოეს წლებში გაირკვევა 1921 წლის საქართველოს ანექსიის აღიარების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობანი.

ისიც მოსალოდნელია სულ მთლად უბრძოლველად, ისე როგორც 1918 წ., რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად, ხელში ჩაგვივარდეს თავისუფლება. ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა შეძლოს ამ თავისუფლების შენარჩუნება.

ასეთი საიმედო უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბუნებრივია, ვერ იქნება მოსვენებული, უზრუნველი, კმაყოფილი და ბედნიერი. მან უნდა ილვაწოს, იშრომოს, ოფლი მოიდინოს, ის უნდა იყოს ნამდვილი ხალხის მსახური, როცა ხალხს უჭირს, მასაც უნდა უჭირდეს და არა ისე, როგორც იყო: კორუმპირებული, ორდენოსანი, არარსებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, ცრუ გარდამავალ დროშამოპოვებული დეპუტატები ხელისუფლების მიერ პრივილეგირებულნი არხეინად ცხოვრობენ, ხალხს კი რადიაციით მონამლულ ხორცს აჭმევდნენ.

კმარა! წერტილი უნდა დავუსვათ წარსულის უკეთურობებს. მცირეოდენის წვლილის შეტანა თქვენ, ამომრჩევლებს ამაშიც შეგიძლიათ: **ხმა მიეცით ღირსეულს.**

სამწუხაროდ, არჩევნებს მიეტმასნა მრავალი ცრუ მოღვაწე, ცრუ პატრიოტი, ცრუ პოლიტიკოსი. მათ ჰგონიათ, რომ დეპუტატობა მოუტანს მატერიალურ სიკეთეს, ჩინმედლებს, დაწინაურდებიან სამსახურში ან სკამს შეინარჩუნებენ. ისეთებიც კი ტრიალებენ, რომლებსაც დეპუტატობა უნდათ თავიანთ შავ-ბნელ საქმეთა შესანიღბავად.

ძვირფასო ამომრჩევლებო! ახლა გეძლევათ საშუალება, გამოხატოთ თქვენი პროტესტი მათ მიმართ — დაუნდობლად წაშალეთ მათი გვარები.

ხმის მიცემის დროს გახსოვდეთ არა მარტო თქვენი თავი, ვინ რაში გამოგადგებათ, ვინ რას გპირდებათ, არამედ გახსოვდეთ სამშობლო, ყოველ თქვენგანს უფრო დიდ სიკეთეს მოუტანს სამშობლოს თავისუფლება. გამორჩენაზე ფიქრი არ ანაცვალოთ დიად იდეას.

ხმა მიეცით სამშობლოს ერთგულ შვილებს.

**ნოდარ ჭულეისკირი**

# კომუნისტური რეჟიმისთვის — „ნორმალური ვითარება"

აზერბაიჯანში გრძელდება სახალხო ფრონტის მიერ გამოცხადებული სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომპანია. ნახჭევანში, სუმგაითში, ალიბაირამლიში გაფიცულია სკოლები, ქარხნები, უმაღლესი სასწავლებლები, არ მუშაობს ბაქოში მდებარე საკავშირო დაქვემდებარებების საწარმოების დიდი ნაწილიც. გაფიცულების მოთხოვნებია: საბჭოთა ჯარის გაყვანა ბაქოდან, საგანგებო მდგომარეობის გაუქმება და ეროვნული მოძრაობის დაპატიმრებული ლიდერების განთავისუფლება.

ბაქოში ხშირია შემთხვევები, როცა ჯარისკაცები შეურაცხყოფენ და იარაღით აშინებენ მოსახლეობას, იჭრებიან სახლებში, რამდენიმეჯერ ჯარისკაცებმა გაძარცვეს მაღაზიები და გაიტაცეს სასმელი.

აზერბაიჯანის ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეების მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიისათვის გაგზავნილ მიმართვაში ჩამოთვლილია ადამიანის უფლებების დარღვევები, რომლებიც 20 იანვარს მოხდა ქალაქ ბაქოში, მიმართვაში აღნიშნულია, რომ ბაქოში საბჭოთა ჯარების შეჭრას მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის, ადგილი ჰქონდა სამედიცინო სასწრაფო სამსახურის ბრიგადებისათვის ცეცხლის გახსნის. დამახინჯებული გვამების გადამალვის ფაქტებს. მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ საბჭოთა ჯარმა გამოიყენა სასკდომი ტყვიები, ტყვიები გადანაცვლებული ცენტრით და მგეზავი ტყვიები, რომელთა მიერ მიყენებული ჭრილობებისაგან სამკურნალოდ საჭიროა შესაბამისი გამოცდილება, მოწყობილობა, მედიკამენტები, რაც ადგილობრივ ექიმებს არ გააჩნიათ. ამავე დროს, საბჭოთა მთავრობა თავისი დანაშაულის დაფარვის მიზნით უკრძალავს საზღვარგარეთის ქვეყნებს დახმარება გაუწიონ დაზარალებულებს. მიმართვაში დაგმობილია საბჭოთა ხელისუფლების დანაშაულებრივი. პოზიცია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში: „სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ცენტრალური ხელისუფლება იწვევს ერთაშორის კონფლიქტებს, ხელოვნურად უპირისპირებს ერთმანეთს მუსულმანებსა და ქრისტიანებს".

მიმართვის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „გამოვხატავთ რა მთელი აზერბაიჯანელი ხალხის ნებას, ჩვენ მოვითხოვთ:

1. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სხდომაზე განხილულ იქნას საკითხი აზერბაიჯანში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შესახებ, რომლებიც მოჰყვა აზერბაიჯანის სამხედრო ოკუპაციას 1990 წლის 19-20 იანვარს.
2. გაიგზავნოს აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კომისია, რომელიც გაეცნობა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელ ფაქტებსა და მასალებს და ობიექტურ სამართლებრივ შეფასებას მისცემს ამ მოვლენებს.













## ქრონიკა

ტალინი. 2 თებერვალს ესტონეთის სახალხო დეპუტატთა რესპუბლიკურმა კრებამ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის თანახმად დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები ესტონეთსა და ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებას შორის ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. დეკლარაციაში, რომელიც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იქნა მიღებული (3000 დელეგატიდან 2873 მისცა ხმა), ნათქვამია, რომ ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა აღსდგეს ტარტუს მშვიდობიანი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიდო 1920 წელს საბჭოთა რუსეთისა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის. როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, ამ მშვიდობიანი ხელშეკრულებით რუსეთის ლენინურმა მთავრობამ აღიარა ესტონეთის დამოუკიდებლობა და უარი თქვა ყოველგვარ პრეტენზიებზე მისი ხალხისა და ტერიტორიის მიმართ. დეკლარაცია მთავრდება მოწოდებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჰელსინკის მშვიდობიანი მოლაპარაკებების მონაწილეების და ყველა ქვეყნის მთავრობების მიმართ, მხარი დაუჭირონ ესტონელი ხალხის სამართლიან მოთხოვნას, აღიდგინოს ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობა.

ვილნიუსი. ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით გაუქმებულად გამოცხადდა სახალხო სეიმის 1940 წლის 21 ივლისის და სსრკ უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 3 აგვისტოს დადგენილება ლიტვის სსრკ-ში შეყვანის თაობაზე. სესიის აზრით ეს დადგენილება უკანონოა და არ გამოხატავდა ლიტველი ხალხის ნებას. როგორც ცნობილია, სსრკ წითელი არმიის შეჭრა ლიტვაში 1940 წლის 15 ივნისს შეფასებულია, როგორც აგრესია და ოკუპაცია და სწორედ ამ აგრესიის შედეგად შექმნილმა მთავრობამ ჩაატარა ანტიდემოკრატიული არჩევნები სეიმში, რომელმაც შემდეგ მიიღო დეკლარაცია ლიტვის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან ლიტვის სახელმწიფოებრიობის აღდგენის თაობაზე.

სოფია. როგორც აქ უცხოელ კორესპონდენტებს განუცხადეს, ბულგარეთის მთავარი ოპოზიციური დაჯგუფების — „დემოკრატიული ძალების კავშირის" — თავმჯდომარემ ჟელევმა კვლავ უარყო მთავრობის წინადადება ოპოზიციის ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობის შესახებ. მან გაიმეორა თავისი პირვანდელი აზრი იმის თაობაზე, რომ ნამდვილი კოალიციური მთავრობის არსებობა შეუძლებელია დღევანდელ პირობებში, როდესაც მთელი ძალაუფლება ქვეყანაში ჯერ კიდევ კომუნისტების ხელშია. ჟელევმა ეს თავისი პოზიცია გამოხატა მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მრგვალი მაგიდის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებზე.

პრაღა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია ქვეყნიდან სსრკ ჯარების გაყვანის მოთხოვნით. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ჯარების გაყვანას 31 მაისამდე. მიტინგზე მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირმა უნდა გადაიხადოს კომპენსაცია 1968 წლის აგვისტოს ინტერვენციით მიყენებული ზარალის კომპენსაციად.

# თეატრალური „პროვინცია“: ყოფნა-არყოფნა

როვე საზოგადოებრივი სიტუაციის ასახვა? ისტორიული წარსულის რეტროსპექცია? მაყურებელში ეროვნული სულისკვეთების გამძაფრება? იქნებ ახალი მხატვრული ფორმების ძიება? ან იქნებ ეროვნული სამსახიობო და სარეჟისორო სკოლის განვითარებაზე ზრუნვა?

თითოეულ ამ საკითხს დადებითად შეიძლება ვუპასუხოთ: მნიშვნელოვანია ერთიც, მეორეც, მესამეც და ყველა ერთად. მაგრამ არის კიდევ ერთი — საქართველოს პერიფერიების თეატრების საკითხი. მას არათუ თითქმის, არამედ საერთოდ არ სვამენ თანამედროვე ქართული თეატრის ოპონენტები, რომელთა კრიტიკა მეტწილად დედაქალაქის ერთ ან ორ თეატრს ეხება ხოლმე, ერთი-ორი თეატრალური მოღვაწის ესთეტიკურ პრინციპებს მოიცავს, თითქოს ქართული თეატრი მხოლოდ თბილისში და მხოლოდ რუსთაველის პროსპექტზე მკვიდრობს. ბევრი მათგანის აზრით, ქართული თეატრი მხარს ვერ უბამს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არ გამოხატავს ერის ინტერესებს; ამგვარი ტენდენციების შემცველ აზრებს ხშირად გაიგონებთ კერძო საუბრებსა თუ სხვადასხვა თავყრილობაზე. მაგრამ ამგვარი მონოლოგების მოყვარულთაგან არასდროს მიგრძვნია დაინტერესება ახალციხის, ქუთაისის, ცხინვალის, ჰიათურის, ფოთის, ზუგდიდის, თელავის, ბათუმის, გორის თეატრების ბედით. არც ვარ დარწმუნებული, იციან თუ არა მათ, რა სიძნელეებს განიცდიან საქართველოს პერიფერიის თეატრები, რა სპექტაკლები იდგმება მათ სცენაზე, რითი ცხოვრობენ, რა აწუხებთ.

ამის დასტური იყო თუნდაც ის ინდიფერენტულობა, რომელიც ჩვენმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, განსაკუთრებით კი მწერლობამ, გამოიჩინა 1988 წლის მაისში თბილისში გამართული საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების II ფესტივალისადმი. მხოლოდ რამდენიმე წარმოდგენაზე შეივსო თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის ისედაც მცირე დარბაზი. არადა, რა მხარდაჭერაა ასეთ დროს სავსე დარბაზი „პროვინციული“ თეატრისათვის, თეატრალებმა მაინც იციან.

ფესტივალის გახსნის დღეს მწერალთა კავშირში დიდძალი ხალხი შეიკრიბა მესხეთიდან გადასახლებული თურქების საკითხის განსახილველად. რამდენიმე დღის შემდეგ კი, იქვე, მწერალთა კავშირთან ახლოს, სწორედ მესხეთის თეატრის სპექტაკლზე „კაცია ადამიანი?!“ დარბაზის ნახევარზე მეტი არ შეივსო.

როდესაც ცხინვალის თეატრის დასი მართავდა წარმოდგენას, საქმე კურიოზამდეც კი მივიდა: ადმინისტრაციული წესით გავრცელებული ბილეთებით მაყურებელი არ მოვიდა და სპექტაკლის დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე რამდენიმე ახალგაზრდა ქუჩიდან პატიჟებდა გამვლელ-გამომვლელს.

ასე ხდებოდა ფესტივალის დღეებში თბილისში, ხოლო რა ხდება იქ — ახალციხესა თუ ცხინვალში — ვინ იცის: ნუთუ ახსნას საჭიროებს, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში თეატრი რიგითი სახელმწიფო დაწესებულება კი არ არის, არამედ ეროვნული ხელოვნების ერთ-ერთი (ცხინვალში კი ერთადერთი) საყრდენია და თითოეული ამ კოლექტივისადმი ყურადღების გამოჩენა ჩვენი ვალია.

იციან თუ არა ქართული თეატრის (ანუ დედაქალაქის თეატრების) ეროვნული პოზიციის გარკვევაში გაწაფულმა პირებმა:

რომ საქართველოს პერიფერიის თეატრების უმრავლესობას მოგვარებული არა აქვს სტაციონარული შენობის საკითხი. ზოგს წყალი ჩამოსდის სცენასა თუ დარბაზში, ზოგს სათავსოები არ ჰყოფნის, ზოგი კი სხვა დაწესებულებებთან იყოფს ისედაც მცირე ფართობს, როგორც ცხინვალის თეატრის ქართული დასი ოსურ დასთან და ცეკვის ანსამბლთან ერთად;

რომ თეატრები აღჭურვილია ძველისძველი ტექნიკური აპარატურით, რის გამოც წარმოდგენები ხშირად ხარვეზებით მიდის. თეატრებს არ ყოფნით ხარჯები სპექტაკლების დეკორატიული გაფორმებისთვის (ცხინვალის თეატრის ქართულ დასს ერთ დადგმაზე 200-350 მანეთამდე აქვს გამოყოფილი);

რომ თითქმის ყველა თეატრი განიცდის ახალგაზრდა მსახიობების, განსაკუთრებით ვაჟების უკმარისობას და მაშინ, როდესაც ჩვენ, კრიტიკოსებს აქ ახალგაზრდა რეჟისორების უფლებებისათვის ბრძოლისკენ მოგვიწოდებენ (აქაოდა ჩაგრავენ მათ აკადემიურ თეატრებში), იქ — ვთქვათ ცხინვალში — მეორე რეჟისორის შტატი წლების მანძილზე თავისუფალია;

რომ რაიონული თეატრების მსახიობთა დიდ ნაწილს არა აქვს გადაჭრილი საბინაო პრობლემა, ზოგისთვის თეატრი ქირაობს ბინას, ზოგი სასტუმროში ცხოვრობს, ზოგიც საერთო საცხოვრებელში. მაგალითად, ცხინვალის თეატრის ქართული დასის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი — წოდების მქონე — წლების მანძილზე ქალაქიდან ოცდახუთი კილომეტრით დაშორებულ სოფელში ცხოვრობდა და საღამოს, სპექტაკლის შემდეგ, ფეხით უხდებოდა სახლში წასვლა, რადგან ღამით ავტობუსების მოძრაობა შეჩერებულია.

არადა, ამის შემდეგ ძნელია უთხრა ახალგაზრდა მსახიობს ან რეჟისორს, გუშინდელ გალაღებულ სტუდენტს — რაიონულ თეატრში წადი სამუშაოდო.

ახლა იკითხეთ, რა ხელფასები აქვთ მსახიობებს? რა პირობებში უხდებათ გასვლითი სპექტაკლების თამაში? როგორ ეხმიანება მათ პრობლემებს ადგილობრივ ხელმძღვანელთა უმრავლესობა?

შეკითხვები კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია, რათა „პროვინციული“ თეატრის მეტად არასახარბიელო ყოფისა და შემოქმედებითი მუშაობის სურათი წარმოგვიდგეს.

- რა ვქნათ? მეტი აქტიური მხარდაჭერისკენ მოვუწოდოთ საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრის მოღვაწეთა კავშირს?

მოვუწოდოთ!

მაგრამ ნუ ვიქნებით მიამიტნი, რეალურად შევხედოთ ვითარებას და ვაღიაროთ: იმ რაოდენობით ხარჯების გაღება, რაც აუცილებელია ამ პრობლემების თუნდაც ერთი ნაწილის გადასაჭრელად, დღეს არ შეუძლია არათუ რომელიმე შემოქმედებით კავშირს, არამედ მთლიანად რესპუბლიკას. დღეს, ვფიქრობ, საქმეს არ უშველის არც მთავრობის საგანგებო დირექტივები თუ გადაწყვეტილებები — ვთქვათ, საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების გადარჩენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება (ისე კი სამომავლოდ არ იქნებოდა ურიგო ამის გაკეთება). იგი უბრალოდ ფარატინა ქაღალდად დარჩება, თუ ძველი, გამობრძმედილი იარაღი — საერთო ენთუზიაზმი არ მივაშველეთ.

წელან ვამბობდი, რა სინდისით მოვუწოდოთ ახალგაზრდებს რაიონებში წასვლა, სად ვუშვებთ, რისთვის ვწირავთ, იქნებ რა ნიჭი „იკარგება“ დედაქალაქის აკადემიური თეატრისთვის. მაგრამ უმალ გამახსენდა აწ უკვე გახმაურებული ამბავი ერთი თბილისელი ახალგაზრდისა, რომელმაც თეატრი დააარსა ჰერეთის ერთ ქართულ სოფელში. ჰერეთისა, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაში შედის. მართლაც გასაოცარი ამბავია ჩვენი დროისათვის, როდესაც თვით მწერლებიც კი — ქაღალდისა და კალმის მეტი რომ არა სჭირდებათ — გვარწმუნებენ, დედაქალაქში უფრო მოგვდისო მუზა, ვიდრე დედულ-მამულეთში. ამ ბიჭმა კი შვიდი წლის წინ (!!!) სოფელში თეატრალური დასი შეკრიბა, დააარსა თეატრი და დღეს მათი სპექტაკლები არცერთი რაიონული პროფესიული თეატრის მხატვრულ დონეს არ ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება კიდეც.

რას ნიშნავს ამ ერთი ადამიანის საქციელი საქართველოსთვის, მომავალი განსჯის, მაგრამ იმაზე, თუ რას გვასწავლის ჩვენ ეს მაგალითი, დღეს უნდა ვიფიქროთ.

უნდა ვიფიქროთ და შევიგნოთ, რომ მხოლოდ თბილისს არ სჭირდება ქართული თეატრი (და თანაც ამდენი!), არამედ სრულიად საქართველოს. ეს დაადასტურა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართულმა თეატრმაც, რომელიც ჩვენი კულტურის ერთ-ერთი ძლიერი კერაა და ესეც ჩვენი გამარჯვების საწინდარია. მაგრამ ამასვე ადასტურებს კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი ცხინვალის თეატრის ქართული დასის მაგალითიც. დასისა, რომელსაც წლების მანძილზე თანდათანობით ეცლებოდა არათუ განვითარების, თვით არსებობის ყოველგვარი საფუძველი — პროფესიული კადრები, აქედან გამომდინარე, მატერიალური სახსრებიც, ირღვეოდა შემოქმედებითი პროცესი და საბოლოოდ თეატრმა დაკარგა თავისი მაყურებელი. რა ბედი ელის ამ დასს არათუ შორეულ, არამედ ახლო მომავალში, არავინ უწყის. ამიტომ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, ფართო საზოგადოების დაინტერესება ამ დასის ცხოვრებითა და მოღვაწეობით. თუ საჭირო გახდა, მიტინგების ნაცვლად ამ თეატრის პრემიერებზე უნდა ჩავიდეს ხალხი, სტუდენტობა თბილისიდან, გორიდან, კასპიდან, ხაშურიდან; სამუშაოდ წავიდეს ცხინვალში თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი, თუნდაც რამდენიმე წლით — ერთად მათ ვერავინ დასჯაბნის. მის სცენაზე დადგან სპექტაკლები სახელოვანმა რეჟისორებმა, თეატრისთვის საგანგებოდ შექმნან პიესები დრამატურგებმა, სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ცხინვალის თეატრის ქართული დასის ცალკე თეატრად გამოყოფაზე.

შესაძლოა ზედმეტად ომახიანი და კატეგორიული იყოს ეს განცხადებები, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ დღეს, როდესაც ჩვენი უგულობითა და უყურადღებობით სამაჩაბლოს ერთადერთი ეროვნული კულტურული დაწესებულება იმ ზღვარამდეა მისული, რომლის მიღმაც უფსკრულია.

თუ უფრო ფართოდ შევხედავთ ამ პრობლემებს, ნათელი გახდება, რომ ქართული კულტურის დეცენტრალიზება, ძლიერი კულტურული კერების შექმნა პერიფერიებში, ძველი და სახელოვანი ტრადიციების აღდგენა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ცხინვალი, თელავი (აქ ეს საკითხი თანდათან კარგავს აქტუალობას), სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს ერისათვის. დღეს უნდა დაიწყოს ჩვენი ინტერესების გეგმაზომიერი, გონივრული გადანაცვლება დედაქალაქიდან სრულიად საქართველოსკენ და ამ მოძრაობას წინ სწორედ მაღალი კულტურა უნდა უძღვოდეს.

ათწლეულების მანძილზე უზომოდ იზრდებოდა თბილისი და ისრუტავდა საქართველოს მთელ ინტელექტუალურ პოტენციალს (ცხადია, არა მხოლოდ მას!). ამ ხნის მანძილზე, როდესაც არსებითად გაუკაცრიელდა პერიფერია, უკანასკნელ ზღვარამდე იქნა დაყვანილი ეკლესიის, როგორც ხალხის სულიერი მოძღვრის ფუნქცია, თეატრი აღმოჩნდა ქართულ „პროვინციაში“-ის ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ავად თუ კარგად ინახავდა ეროვნული ხელოვნების მარცვლებს. არადა, რა ინტელიგენცია მისცა საქართველოს სწორედ პროვინციამ! რამდენ ეროვნულ წამოწყებას ედგა სათავეში ქუთაისი თუ თელავი, ფოთი თუ ოზურგეთი! რა ჩინებული მსახიობები ჰყავდა და დღესაც ჰყავს თეატრალურ პერიფერიას!

ბოლო უნდა მოეღოს დედაქალაქის სნობისტურ დამოკიდებულებას „პროვინციისადმი“ და, საერთოდ, ქალაქის პარაზიტულ თვითკმაყოფილებას. ეს გზაც პირველებმა ეროვნული კულტურის მოღვაწეებმა უნდა გაკაფონ.

შესაძლოა ვცდები და ბევრი არ დამეთანხმოს, შეურაცხმყოფელად ჩათვალოს ჩემი მოსაზრებები. არც ეს იქნება ურიგო: დაე, ეს წერილი საქართველოს თეატრების გარშემო პოლემიკის საბაბი გახდეს.

ანა ჟავჟავაძე



# შალვა სიხაშვილი

ჭეშმარიტების ძიებაში დაცემულ რაინდს მკვდრად ვერ ჩათვლის კაცი. მშობელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი უკეთესი მერმისისათვის მებრძოლს შარავანდედი ხდევს მუდამ.

სამშობლოსათვის დაცემულ ჯარისკაცს მკვდრად არ ჩათვლის ერი.

ახეთი იყავი შენ, მუდამ მოუღლელი, ენერგიული, რათა გერგო რამ მშობელი ერისთვის, გეპოვნა გზა სიმართლის და თუ საჭირო გახდებოდა, შესწიროდი კიდევაც იმ დიდ იდეას, რასაც ჭეშმარიტება, მამული, ენა, სარწმუნოება ჰქვია. შეეწირე კიდეც.

ზვარაკად მიიტანე სიცოცხლე შენი ერის სამსხვერპლოზე. მოწამებრივი სისხლი გაიღე; სისხლი, რომელიც დიდმა წინაპრებმა გიბოძეს, მათ უკვდავსაყოფად დაღვარე.

არ არის მკვდარი, ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა თავია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

დიდი ილია ამბობდა ამას და რწმენა შენი ხომ წმინდა ილიას იდეებით იყო განათებული. მისივე სახელობის საზოგადოების წევრი იყავ სიცოცხლის ბოლომდე. ტრაგიკულად დასრულდა შენი სიცოცხლე, სიცოცხლე, რომლის 29 წელი თებერვლის თვეში უნდა გეზეიმა; ახლა ზეიმობს სული შენი — სიკეთის, სიმტკიცის განსახიერება.

ზოგი სიცოცხლეშივე ამთავრებს სიცოცხლეს, შენ კი სიკვდილით უკვდავყავი სახელი შენი. ამიერიდან შენ იმ ზეციურ საქართველოს შეუერთდი, სადაც მრავლადაა ქართველთათვის საამაყოთა სახელები.

თანაკურსელთა სახელით:

კობა ლურსმანაშვილი, ირმა პაპალაშვილი, მადონა კვინიკაძე, ნანა ლუბელაძე, კარლო გიჩინაშვილი.

# ლალი ძნელაძის ხსოვნას

მან არაერთხელ შემომკრა ზარი ერის გამრავლების თაობაზე. ახალგაზრდა დედამ სანთლით ხელში შეხვდა 9 აპრილს დაღუპულ ქალებს და ბავშვებს, რომ იგი აუცილებლად გააჩენდა რამდენიმე შვილს. მართალია, არც ჯანმრთელობა და, არც ოჯახის ხელმოკლეობა აძლევდა ამის საშუალებას, მაგრამ მან პირნათლად შეასრულა თავისი ფიცი და ყველაზე დიდი საჩუქარი — სიცოცხლე შესწირა მას. ღმერთმა დალოცოს ობლად დარჩენილი პატარა, უმანკო და მისი უფროსი და!

ნანა ნიკოლაიშვილი

# მილოცვა

ორი საუკუნის მანძილზე დამარხული, აბუჩად აგდებული, აღვალწუნებული და „კანონგარეშედ“ გამოცხადებული საქართველოს ისტორიავ, დღეს მამულიშვილთაგან მკვდრეთით აღდგენილო, ეროვნული [illegible] დამოუკიდებელ [illegible] თვითშეგნების [illegible] „გილოცავთ“ შენც და [illegible] პოლიტექნიკური ინსტიტუტის [illegible] კათედრის გამგეს დოც. [illegible] ამ კათედრის თითოეულ წევრს, [illegible] „დაგდეს“ და დიდი ბრძოლის შემდეგ თავიანთი კათედრის ბინადრად გაქციეს ამიერიდან ისინი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა მქადაგებელნი, [illegible] „ღრმად პატრიოტულ“ ლექციების კითხვით ქართველი ახალგაზრდობის „გულთან მიიტანენ“ შენს ჭეშმარიტ სატკივარს.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სახალხო ფრონტი

მინაწერი: რამდენიმე დღის წინ ქუთაისის [illegible] ინსტიტუტის რექტორატის [illegible] საქართველოს ისტორიის [illegible] თუ [illegible], ლიტერატურისა და კულტურის [illegible] კათედრიდან გადატანილ იქნა სხვა ისტორიის კათედრაზე!!!

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

## განცხადება.

საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო კომისია ყოველ დღე, 18 სთ-ზე, თბილისში, ყაზბეგის ქ. №17, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ატარებს სემინარებს.

ტელ. 38-21-58, 29-32-85, 29-32-84.

სსფ საარჩევნო კომისია

## შესწორება

[illegible]

I გვ., ზემოდან 91 სტრ., არის: [illegible] უნდა იყოს: [illegible]

I გვ., ზემოდან 28 სტრ., არის: ანტაგონიზმს; უნდა იყოს: ანტაგონისტს.

III გვ., ზემოდან 15 სტრ., არის: (თავ)ის — მონა ერი; უნდა იყოს: (თავ)ის — მონა ერი.

სახალხო ფრონტი

იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი მამუკა ჯაჩუაშვილი